# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 14 თებერვალი 2004 №32 (2051) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბიშოვეცი

*საქართველოს ნაკრების მწვრთნელი ანატოლი ბიშოვეცი იქნება.*

*ეს ამბავი წუხელ, ფაქტობრივად, გადაწყდა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია უკრაინელ სპეციალისტთან ორწლიან კონტრაქტს ორშაბათს გააფორმებს და ბიშოვეცი უკვე ოფიციალურად დაინიშნება ეროვნული გუნდის თავკაცად.*

*ახალ მწვრთნელს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია კვიპროსზე ხვალ ჩააკითხავს და ყველა საკონტრაქტო დეტალს შეუთანხმებს.*

*იქამდე კი, ვიდრე კონტრაქტი გაფორმებულა, საქართველოს ნაკრების მწვრთნელს კვიპროსზე დავუკავშირდით.*

*— გავიგეთ, უკვე მისალოცად გაქვთ საქმე.*

*— გმადლობთ, მაგრამ ჯერ ადრეა. ფედერაციის პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიას კვიპროსზე ველი კონტრაქტის პირობების საბოლოოდ შესათანხმებლად.*

*— პირობები ჯერ არ შეგითანხმებიათ?*

*— ჟორდანიას უკვე ვესაუბრე. ვიცი მისი განწყობა და მადლობელი ვარ ნაკრების შემოთავაზებისთვის. კონკრეტულ საკითხებზე მოსალაპარაკებლად კი მას აქ შევხვდები. ყველაფერს დეტალურად განვიხილავთ, ჩვენს შესაძლებლობებს შევაფასებთ.*

*— თქვენ წინააღმდეგი ხართ...*

*— მოლაპარაკების წინააღმდეგი არ ვარ.*

*— მოლაპარაკებაზე არ გეკითხებით, ეს თავისთავად. საქართველოს ნაკრების მწვრთნელობაზე თანახმა ხართ?*

*— თანახმა ვარ. თუმც ჯერ რამდენიმე საკითხი უნდა განვიხილოთ. ბოლომდე ყველაფერი ჯერ კიდევ არ ვიცი.*

*— რას გულისხმობთ?*

*— ეს ფედერაციის პრეზიდენტთანაა სალაპარაკო.*

*— ქართველ ფეხბურთელებს პირადად თუ იცნობთ?*

*— პრაქტიკულად, არა. ამ თაობის ქართველი ფეხბურთელებიდან არავის ვიცნობ.*

*— მათ შესაძლებლობებს?*

*— მოდით, ქართული ფეხბურთის ტრადიციებზე არაფერს ვიტყვი, ეს ყველამ კარგად იცის. ამჟამინდელი ნაკრების წევრთა უმეტესობის შესაძლებლობები კი თანამედროვე სტანდარტებს შეესაბამება. თუმც ახლა მხოლოდ კარგი ფეხბურთელები ძლიერ გუნდს არ ნიშნავს. ქართველი ფეხბურთელები ქართველი ხალხის ვალში არიან.*

*— ზოგადად, საქართველოს ნაკრების შესაძლებლობების შეფასება შეგიძლიათ?*

*— ობიექტური შეფასებისთვის ინფორმაცია მჭირდება. უნდა ვნახო ყველა ის თამაში, საქართველოს ნაკრებმა წინა შესარჩევ ციკლში რომ ჩაატარა. ვიცი, საქართველოს ნაკრებს ბოლოსწინა ტურში ალბანეთში რომ არ წაეგო, რუსეთთან მოგების შემთხვევაში ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებდა. უფრო სწორად, მეორე ადგილზე გავიდოდა და პლეი ოფი მოუწევდა. სხ‹ვ›ა არაფერი ვიცი.*

*— ამ შესარჩევ ჯგუფზე რას იტყვით?*

*— ბევრს ვერაფერს. თანაბარი ძალის გუნდები არიან ჯგუფში თავმოყრილნი. თუმც ამას რა მნიშვნელობა აქვს, მიმაჩნია, საქართველოს ნაკრებს ყოველთვის უნდა შეეძლოს ნებისმიერი სიძლიერის ჯგუფიდან გასვლა.*

*— ვიმედოვნებთ, ეს თქვენ ხელში მოხდება...*

*— გმადლობთ, ვნახოთ.*

*— და ბოლოს, კონტრაქტზე ხელმოწერამდე ეს გვითხარით: როგორია თქვენი საფეხბურთო კრედო?*

*— ფეხბურთელს რომ მოსთხოვო, ჯერ საკუთარ თავს უნდა მოსთხოვო.*

*— გმადლობთ, წარმატებებს გისურვებთ, თბილისში შეხვედრამდე.*

*ანატოლი ბიშოვეცის პასუხი ასეთი იყო: Mадлоба.*

კობა ინასარიძე





პორტუგალიასთან აწი ველარ გავისეირნებთ

# დაივიწყეთ შარშანწინდელი

## პორტუგალია სხვა მოდის!

*12 თვის წინ ვინმეს რომ ეთქვა, პორტუგალიის მორაგბეთა ნაკრები თბილისში ფავორიტად ჩამოდისო, ცალყბად გასაცინებლად არ გვეყოფოდა. მაგრამ ამ ერთ წელიწადში ძალიან, ძალიან ბევრი რამ შეიცვალა და ახლა პორტუგალიასთან და პორტუგალიაზე ხუმრობა აღარ შეიძლება. სარაგბო ამბავში ეს მართლაც მცირე ერი მანამდე თუ ყველასთან აგებდა, 2003 წლამდე დაგროვებული ცოდნა-გამოცდილება ჭკუით გამოიყენა და ყველას მოუგო.*

*არადა, ერთა თასის ჩემპიონ „ლობოსებს" ორადორი ლეგიონერი ჰყავთ, ყველა დანარჩენი იმ დონის ჩემპიონატში თამაშობს, რომლის მატჩებსაც ორასი კაცი ყოველთვის არ ესწრება. ნაკლებსავარაუდოა, ამ ბიჭებს 15 თებერვალს „ლოკომოტივზე" რამდენიმე ათასი კაცის ხმაურში აუკანკალდეთ ხელ-ფეხი, ეს თამაში გადახალისებული ბორჯღალოსნებისთვის უფრო იქნება გამოცდა.*

*ჩვენს მატჩამდე დღით ადრე კი სხვები გადიან მოედანზე. 14 თებერვალს რუსები ესპანელებს დაუხვდებიან, ხოლო რუმინელები ჩეხებს. 14 თებერვალსვე იწყება ნამდვილი რაგბი — ექვსი ერის მგრგვინავი გათამაშება.*

# 18 საქართველო რუმინეთს ახალი თავით ეთამაშება

*საქართველოს ნაკრები დღეს ან ხვალ ახალ მწვრთნელს ჩაბარდება და ეს ახალი, სავარაუდოდ, რუსეთში მცხოვრები უკრაინელი, 57 წლის ანატოლი ბიშოვეცი იქნება.*

*ეროვნული გუნდის მწვრთნელობის კანდიდატია ფრანგი ალენ ჟირესიც, რომელმაც ფედერაციის პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიას გუშინ, ბიშოვეცის დარად, ნაკრების გაწვრთნაზე თანხმობა განუცხადა*







საბოლოოდ დამთავრდა ლაპარაკი ფრანგ ანრი მიშელზე, თუმც საქართველოს ნაკრებში მუშაობაზე მისი აზრი ერთი კვირის წინაც ცნობილი იყო. მიშელმა „სარბიელთან" საუბრისას სავსებით ცხადად და გასაგებად თქვა თავისი სათქმელი — საქართველო ჩემგან შორსაა, ფეხბურთის ფედერაციასთან ყველაფერი კორექტულად იყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ქართველებთან მოლაპარაკების გაგრძელება გამორიცხული საქმეაო.

მიშელის უარი და მასთან დამოკიდებულება ფედერაციის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ გუშინდელ პრესკონფერენციაზე მოკლედ ჩამოაყალიბა — მიშელი ჩვენთვის სასურველი კანდიდატი კი იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, მისგან უარი მივიღეთ.

ფედერაციის პრეზიდენტის გუშინდელი პრესკონფერენცია თემატურად მთლიანად სანაკრებო იყო, უფრო სწორად, კითხვა-პასუხები ნაკრების მომავალი მწვრთნელის გარშემო ტრიალებდა. ჟორდანიამ თავიდანვე თქვა, დღეს მწვრთნელის თაობაზე ვისაუბროთ, დანარჩენ საკითხებზე კი კვიპროსიდან ჩემი დაბრუნების შემდეგო. ცნობისთვის, მერაბ ჟორდანია კვიპროსზე ნაკრებთან ერთად ხვალ მიფრინავს.

ახლა კი მთავარი — ნაკრების შესაძლო მწვრთნელებზე ფედერაციის პრეზიდენტმა თქვა:

— ვადასტურებ პრესაში გამოქვეყნებულ ინფორმაციას: ეროვნული გუნდის მწვრთნელის პოსტზე ორი კანდიდატია — ანატოლი ბიშოვეცი და ალენ ჟირესი. საბოლოო გადაწყვეტილებას მივიღებთ 18 თებერვლამდე და ამ დღეს რუმინელებთან სათამაშოდ ჩვენს ნაკრებს ახალი მწვრთნელი ეყოლება. ორივე მწვრთნელისგან ნაკრების გაწვრთნაზე თანხმობა უკვე მივიღეთ, ჟირესი საფრანგეთიდან დაგვიკავშირდა, ბიშოვეცი — კვიპროსიდან. კანდიდატებმა თავიანთი სამუშაო პროგრამა უკვე მოგვაწოდეს და ახლა მათი განხილვის პროცესში ვართ.

— ფინანსური თვალსაზრისით, კანდიდატებს შორის სხვაობა, ფაქტობრივად, არ არის.

— ვერ ვიტყვი, ამ ორი კანდიდატიდან ჩემი სიმპათია ვისკენაა, მწვრთნელის არჩევის საკითხს ცივი გონებით მიდგომა სჭირდება, ჩვენ ვიქნებით კორექტულები და ობიექტურები. ჯერჯერობით ბიშოვეცსა და ჟირესს საქართველოს ნაკრების მწვრთნელობის თანაბარი შანსები აქვთ. გამორიცხულია, მათ მესამე კანდიდატი დაემატოს.

— ბიშოვეცს და ჟირესს რეკომენდაცია ბევრმა ავტორიტეტულმა პიროვნებამ გაუწია, ჩვენც, ვიდრე მათზე შევჩერდებოდით, ბევრი ვიფიქრეთ, ავწონ-დავწონეთ მათი შესაძლებლობები და ახლა არჩევანის წინაშე ვართ. ორშაბათს გეცოდინებათ, ნაკრების მწვრთნელი ვინ იქნება. იქამდე, შაბათს, აღმასკომის წევრებს შევხვდები, გავითვალისწინებთ ვეტერანი ქართველი ფეხბურთელების აზრსაც.

— ახალ მწვრთნელთან შესარჩევი ციკლის ბოლომდე გავაფორმებთ კონტრაქტს. მისი მიზანი იქნება, რომ საქართველოს ნაკრები გერმანიის მსოფლიოს ჩემპიონატზე ათამაშოს. ეს არის ფედერაციის მოთხოვნა. თუ საქართველო მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვდება, მწვრთნელები და ფეხბურთელები სოლიდურ პრემიას მიიღებენ.

— ორივე კანდიდატს ჩვენს ნაკრებზე საკმაო ინფორმაცია აქვს, მათ კარგად იციან ქართველი ფეხბურთელების შესაძლებლობები. დამაკმაყოფილებელია ჟირესის პროგრამა, ის პროფესიულადაა შედგენილი. ბიშოვეცი, რა თქმა უნდა, საქართველოზე მეტადაა ინფორმირებული, ვიდრე ჟირესი, თუმცა ფრანგმაც კარგად იცის პოსტსაბჭოური ქვეყნების საფეხბურთო ამბები. მართალია, ჟირესის სამწვრთნელო კარიერას წარმატებული არ ეთქმის, მაგრამ მხოლოდ ამ მიზეზით მას უარს ვერ ვეტყვით, სამაგიეროდ, ფრანგს ჩვენთან სამუშაოდ სტიმული და დიდი ამბიცია აქვს.

— საქართველოს ნაკრების მწვრთნელი უმეტეს დროს ჩვენთან გაატარებს, თუმც, რა თქმა უნდა, ლეგიონერთა საქმეში ნახვის საშუალებაც ექნება. ამ შესარჩევ ციკლში ნაკრებში ალბათ საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშეთა რაოდენობა კიდევ უფრო გაიზრდება.

— თანაშემწეებს მწვრთნელი თავად დანიშნავს, ჩვენ მის მოთხოვნებს დავაკმაყოფილებთ და მის აზრსაც გავითვალისწინებთ.

— ბიშოვეცი ეროვნებით უკრაინელია, თუმც, ჩემი აზრით, თუ ის დავნიშნეთ, უკრაინასთან სათამაშოდ მას ეს წაადგება კიდეც.

— სხვა კანდიდატებიდან, როგორც ვთქვი, ნაკრების მწვრთნელობის ყველაზე მეტი შანსი ანრი მიშელს ჰქონდა, მაგრამ მან უარი გვითხრა. ლაპარაკი იყო ივო შუშაკზეც, თუმც არჩევანი ბიშოვეცზე და ჟირესზე შევაჩერეთ.

— ფიფას მიერ ამხანაგური მატჩებისთვის გამოყოფილ ყველა დღეს გამოვიყენებთ. ჯერჯერობით მხოლოდ ორი ამხანაგური მატჩის გამართვაა გადაწყვეტილი — ვეთამაშებით გერმანიის ოლიმპიურ ნაკრებს და მოლდოვას. ორივეს სტუმრად.

**კობა ინასარიძე**

# ემზარ ზენაიშვილი: მე ვამბობ ბიშოვეცს

*გაცილებით გამოცდილი და ტიტულოვანი ჯერაც კარიერააუწყობელი და უსახელო მწვრთნელის წინააღმდეგ. უკრაინელი ანატოლი ბიშოვეცი თუ ფრანგი ალენ ჟირესი? ოლიმპიური ჩემპიონი და დაშლილი საბჭოთა კავშირის ნაკრების ევროპის ჩემპიონატზე გამყვანი გუნდის მწვრთნელი თუ ფრანგულ პსჟ-ში და „ტულუზაში" წარუმატებლად მომუშავე ჟირესი, რომელმაც ერთ-ერთი ფრანგული გრანდი პსჟ უმაღლესი ლიგიდან გავარდნის პირას მიატოვა?*

*რა თქმა უნდა, ბიშოვეცი! ესაა ჩვენი აზრი და არა გვგონია, ბევრი იყოს ისეთი, ზემოთქმულის მერე უპირატესობა ჟირესს მისცეს. ამ შემთხვევაში არჩევანი რომ სასწორზე დაიდოს, ნაღდია, „ბიშოვეცის პინა" დაიწონება*



ნაკრების მწვრთნელობის ამ ორ კანდიდატს შორის, ვფიქრობთ, საფიქრალიც ბევრი არაფერია. გამოცდილი, ტიტულოვანი, აქაურების და აქაურობის მცნობი და მცოდნე გვიჯობს ფრანგს, რომელსაც ოდენ ლამაზი ფეხბურთის მოთამაშედ ვიცნობთ, მის საწვრთნელო კარიერაზე კი, უკაცრავად...

ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს ბიშოვეცის სასარგებლოდ გადაწყვეტილების მიღებაში მხარდამჭერი არც ფედერაციაში უნდა დააკლდეს და არც მის უმაღლეს ორგანოში — აღმასკომში, რომლის წევრებსაც ის დღეს უნდა შეხვდეს და მწვრთნელის თაობაზე აზრი გაუზიაროს.

ემზარ ზენაიშვილი, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გენერალური მდივანი, ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის წევრია, მისი აზრი ფასეულია, სიტყვა — გასათვალისწინებელი. ემზარ ზენაიშვილს, როგორც ფედერაციის აღმასკომის წევრსა და ფეხბურთში ჩახედულ კაცს, გუშინ დავუკავშირდით და იმის თქმა ვთხოვეთ, რასაც აღმასკომელ კოლეგებთან ერთად ფედერაციის პრეზიდენტსა და აღმასკომის თავმჯდომარეს მწვრთნელის თაობაზე დღეს ეტყვის...

— წმინდა პრაგმატული მოსაზრებით ჩემი სიმპათია ანატოლი ბიშოვეცისკენ იქნება. ის გამოცდილი, მცოდნე სპეციალისტია, ქართულ მენტალიტეტს მორგებული ჯერ თუ არ არის, ეს არ გაუჭირდება, რესპექტაბელური პიროვნებაა. საქართველოსადმი, ქართული სპორტისადმი მისი დამოკიდებულება ბევრისთვის ცნობილია, მას აქ ბევრი მეგობარი ჰყავს, ჩვენს ქვეყანას ყოველთვის პატივისცემით იხსენიებს. ბიშოვეცი უფრო მოერგება ქართულ რეალობას, ძალიან ბევრი დადებითი თვისება აქვს, რასაც კაცი მასთან ურთიერთობისთანავე იგრძნობ. ბიშოვეცი ავტორიტეტია. სწორედ მის ხელში გახდა გელა კეტაშვილი ფეხბურთში ერთადერთი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი.

**— ჩავთვალოთ, რომ ბიშოვეცის კანდიდატურას ცალსახად ემხრობით?**

— რა თქმა უნდა, ასეა. ამ ორი კანდიდატიდან, ვიმეორებ, ჩემი სიმპათია ბიშოვეცისკენაა.

**— თქვენი აზრი აღმასკომის სხვა წევრებმა უკვე იციან?**

— დიახ, გუშინ აღმასკომის რამდენიმე წევრს ვესაუბრე, ერთ აზრზე ვართ.

**— პირადად თუ იცნობთ ანატოლი ბიშოვეცს?**

— დიახ, რამდენჯერმე შევხვედრივარ და მასზე ძალიან სასიამოვნო შთაბეჭდილება დამრჩა.

**— ჟირესზე არაფერი გითქვამთ.**

— ჟირესის პოტენციალი უცნობია, მასზე არაფერი ვიცით. ბიშოვეცი კი უდავოდ ძლიერი სპეციალისტია. ის უკრაინული, რუსული და ქართული ფეხბურთის სინთეზს მოახდენს, რაც ჩვენს ნაკრებს უნდა წაადგეს.

აი, ასეთია აღმასკომის ერთ-ერთი გავლენიანი წევრის პოზიცია და ემზარ ზენაიშვილისგან განსხვავებული აზრი არც მის კოლეგებს ჰქონიათ.

მაშ, ჩავთვალოთ ანატოლი ბიშოვეცი საქართველოს ნაკრების თავკაცად? უნდა ჩავთვალოთ, რადგანაც ალენ ჟირესზე უკეთესი სპეციალისტია, ეს მას საქმით აქვს დამტკიცებული. სუსტი უცხოელის წინააღმდეგ კი ბიშოვეცის საბჭოელობა თუ პოსტსაბჭოელობა, დაგვეთანხმებით, არგუმენტად არ გამოდგება.

**კობა ინასარიძე**

## გერმანია

მეორე ბუნდესლიგა
XX ტური

ტრირი 2:0 ფიურტი
ოსნაბრიუკი 3:0 ბურგჰაუზენი
ობერჰაუზენი 1:0 კარლსრუე

## იტალია

სერია B. XXVII ტური

ალბინოლეფე 0:4 ატალანტა

## პორტუგალია

სუპერლიგა. XXII ტური

სპორტინგი 1:0 მორეირენსე

## ჰოლანდია

II დივიზიონი
XXII ტური

სპარტა 2:2 დენ ბოსხი
იგლსი 3:0 კამბური
აპელდორნი 0:1 ჰერაკლესი
ჰელმონდი 1:1 ვეენდამი
ჰაარლემი 2:0 მაასტრიხტი
ვენლო 4:2 ექსელსიორი
სიტარდი 1:1 გრააფსხაპი
ემენი 2:0 ეინდჰოვენი

## ბელგია

იუპილერლიგა. XXII ტური

გენკი 1:1 სტანდარდი

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80

# რას გამოგატანს პრეზიდენტი?
## ერთი, ორი და... ფინალი

**საქართველოს** სამგზის ჩემპიონი ქუთაისის „ტორპედო“ თურქმენეთის პრეზიდენტის თასის ფინალში გავიდა. გუშინწინ და გუშინ რიონისპირელებმა ზედიზედ ორი მატჩი გამართეს და ორივე მოიგეს. ოთარ გაბელიას გუნდი ჯერ თურქმენულ „ნებიტჩის“ შეხვდა და გაგა ჩხეტიანის გოლით 1:0 დაამარცხა, გუშინ კი უკრაინული „ვორსკლაც“ იმსხვერპლა, „ტორპედოს“ მთავარ კონკურენტად რომ ითვლებოდა A ჯგუფში. ჩვენებურებმა იოლად იმარჯვეს შოთა ბაბუნაშვილისა და სულიკო დავითაშვილის უპასუხო გოლებით და მეორე წყვილში „აბუმუსლიმ“ — „ნებიტჩის“ ფრის (2:2) გათვალისწინებით ფინალის საგზური დაიბევეს.

ჯგუფში მესამე, ალარაფრისმომცემ მატჩს ქართველები ხვალ ირანულ „აბუმუსლიმთან“ გამართავენ.

თურქმენულ ტურნირში კიდევ ორი ექსტორპედოელი, რომან ახალკაცი და ანდრი პოროშინი თამაშობს, რომელთა მოსკოვური „ლოკომოტივის“ სარეზერვო გუნდმა პირველ ტურში „ავიატორთან“ 2:3 წააგო. ერთი გოლი რკინიგზელთაგან პოროშინმა გაიტანა.

„ტორპედო“ — „ვორსკლას“ მატჩის შემდეგ მცირე კომენტარი ქუთათურთა დაცვის ბურჯ *მიხეილ მახვილაძეს* ვთხოვეთ:




— „ვორსკლა“ ურიგო გუნდი არ იყო, მაგრამ აშკარად ვაჯობეთ და დამსახურებულადაც მოვიგეთ. ვფიქრობ, შედეგი ლოგიკურია.

**— ხელოვნურ საფარზე თამაშს ალლო იოლად აუღეთ?**

— თავიდან კი გაგვიჭირდა, მაგრამ ახლა შედარებით უკეთ ვგრძნობთ თავს.

**— ფინალშიც გახვედით...**

— ყველაფერს ვილონებთ, რომ ეს ტურნირი მოვიგოთ. ფინალში გავედით და აწი რამის დათმობა სისულელე იქნება. მსაჯები მასპინძლებს კი ეხმარებიან, მაგრამ ამასაც უნდა ვძლიოთ. აქ ყველანაირად ცდილობენ, თასი მასპინძელ გუნდს დარჩეს.

**— მეორე ჯგუფში რა ხდება, ვინ გადის ფინალში?**

— ალბათ აქაური „ნისა“. B ჯგუფში ბოლომდე გარკვეული ჯერ არაფერია, მაგრამ „ნისას“ უკეთესი შანსი აქვს.

**ბახა შალამბერიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ტორპედო** | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 6 |
| **ვორსკლა** | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| **აბუმუსლიმი** | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | 1 |
| **ნებიტჩი** | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |



*მოსკოვის „სპარტაკი“ და გიორგი ლომაია ესპანეთში ემზადებიან. ეს უკვე მესამე შეკრებაა „სახალხო გუნდისთვის“. ნევიო სკალა ფეხბურთელებს დღეში ორჯერ ავარჯიშებს და ჩვენებურიც უკვე სრული დატვირთვით ემზადება. ლომაიამ თურქეთში დაშავებული ფეხი საბოლოოდ მოირჩინა.*

*ლომაიას გუშინ ესპანეთში დავუკავშირდით და აქეთურ-იქითურზე ვესაუბრეთ...*

# სპარტაკის კართან დიდი რიგია
## ლომაიამ სკალას დემოკრატია ვერ გაიგო

— დილით საკმაოდ მძიმე ვარჯიში გვქონდა და ახლა ვისვენებ. საღამოს ალბათ ბურთთან უფრო მეტ დროს გავატარებთ. მოკლედ, საახალსეზონოდ სერიოზულად ვემზადებით.

**— თვითმფრინავზე მაგრად დაითარსეთ. ახლაც, ესპანეთში გაფრენამდე, პრობლემები შეგქმნიათ...**

— ვერ გავიგეთ რა ხდება... მგონი, გვაშინებენ... თვითმფრინავი გაუმართავი აღმოჩნდა და სხვაში გადავსხედით. თუმცა მეხის დაცემასთან შედარებით ეს საღადაო ამბავიც კი იყო ჩვენთვის.

**— ამხანაგური მატჩები არ გაქვთ დაგეგმილი?**

— არ ვიცი. მესამე დღეა, აქ ვართ და ჯერ არ გვითამაშია. ალბათ უახლოეს დღეებშიც არ ვითამაშებთ. ყოველ შემთხვევაში, ჩვენთვის არაფერი უთქვამთ.

**— მოსკოვში 23 თებერვალს ბრუნდებით...**

— და სამ დღეში „მალიორკასთან“ უეფას თასის მატჩიც გველის. მთავარი აქცენტი ახლა, ცხადია, ამ თამაშზე გვაქვს გადატანილი.

**— ესპანეთში ხართ და „მალიორკას“ საქმეში ნახვას არ აპირებთ?**

— ჩვენ არა მგონია, ნევიო სკალა კი უკვე დაესწრო ერთ თამაშს.

**— მერე რა გითხრათ, კარგი გუნდიაო?**

— ჩვენთან შედარებით კი.

**— სხვაობა ასე აშკარაა?**

— ბოლო-ბოლო, ესპანური კლუბია. თუმცა ჩვენ ჩვენსას ვეცდებით.

**— უკვე მესამე შეკრებაზე ხართ და ალბათ მწვრთნელს ძირითადი მეკარე გამოკვეთილი ეყოლება...**

— მეც ასე ვფიქრობდი, მაგრამ...

**— მეკარე ხომ ისეთი პოზიციაა, რომ უკვე დროა, მწვრთნელმა არჩევანი გააკეთოს...**

— გეთანხმები. რაღაც ვარიანტი სკალას უკვე უნდა ჰქონდეს, მაგრამ ასე არ არის. მეც, კოვალევსკიც და ზუევიც თანაბარ პირობებში ვართ. ჯერჯერობით გამოკვეთილი არავინაა. ვერ გაიგებ, ვინაა სათადარიგო და ვინ ძირითადი. ამ შეკრებაზე სკალამ მეოთხე მეკარეც კი წამოიყვანა. პატარა ბიჭია, ჩვენთან ვარჯიშობს. ძირითადში ალბათ ვერ მოხვდება, მაგრამ ფაქტია, [illegible] კონკურენციას გაგვიწევს.

**— ახალი ფეხბურთელები ხომ არ გამოჩენილან გუნდში?**

— ახალს ვინ დაეძებს, კამერუნელმა ზოამ „სპარტაკთან“ კონტრაქტი რომ გააფორმა, მას მერე აღარ გვინახავს.

**— რას უპირებენ მერე?**

— ალბათ, დააჯარიმებენ, აბა, ასეთ საქციელს ვინ გაპატიებს?

**— ამ ხნის მანძილზე ვისთან მოასწარი დამეგობრება?**

— უცნაური ხალხია. აქ ყველა თავისთვისაა. საერთოდ, რუსებს სიცივე კი ახასიათებთ, მაგრამ ასე თუ იქნებოდა, არ მეგონა. ყველაზე მეტად დემენკოს დავუახლოვდი, მაგრამ ის თურქული შეკრების შემდეგ გაუშვეს. ახლა კოვალევსკისთან და ზუევთან ვმეგობრობ.

**— ნაკრებს კვიპროსის ტურნირზე არ გაჰყვები?**

— არა, „სპარტაკის“ ხელმძღვანელობა უკვე შეუთანხმდა ფედერაციას და კვიპროსზე არ წავალ...

**მწვრთნელი კიდევ არ დაუნიშნავთ?**

— ანრი მიშელი გამორიცხულია. ახლა ალენ ჟირესზე და ანატოლი ბიშოვეცზეა ლაპარაკი...

— ძალიან გაჯანჯლდა ეგ ამბავი და კარგი იქნება, თუ მალე მოებმება თავი.

**ბახა შალამბერიძე**

# ქართველი ფეხბურთელები მალე ცხვარს დაკლავენ
## ოღონდ მწვრთნელი გვეღირსოს და...

*დღეს ესპანეთიდან კიევში ბრუნდებიან ალექსანდრე ამისულაშვილი და ლადო ბურდული. უკრაინის დედაქალაქიდან მათი გზები გაიყრება. უკვე კიევის დინამოელი ამისულაშვილი გეზს კვიპროსისკენ აიღებს და 15 თებერვლიდან ნაკრებს შეუერთდება. ბურდული კი თბილისში ჩამოვა, ნატკენ კოჭს ნაცნობ ექიმებთან უმკურნალებს და თან კიევიდან საკონტრაქტო დასტურსაც დაელოდება*

უქართველებო კიევის „დინამო“ კი მალე, 4 დღეში დაუბრუნდება კონჩა ზასპას და დასვენების შემდეგ მესამე, ბოლო შეკრებისთვის ისევ ესპანეთს მიაშურებს. დინამოელები ერთ-ერთ პრესტიჟულ ტურნირში მიიღებენ მონაწილეობას. ამისულაშვილი, ბუნებრივია, არც ამ ტურნეზე დააკლდება ახალ გუნდს, რომლის შემადგენლობაში გუშინწინ კვლავ 90 წუთი ითამაშა პრიმერადივიზიონის „ალბასეტეს“ წინააღმდეგ. მატჩი ჩვენით ნაშუალამევს და 1:1 დამთავრდა.

ალეკოს ესპანეთში გუშინ შევეხმიანეთ...

— „ალბასეტესთანაც“ სრულად ვითამაშე. საკმაოდ გახსნილი თამაში იყო. გოლის გატანის შანსი ჩვენც გვქონდა და მათაც. ესპანელებს განსაკუთრებით ფლანგური შეტევები გამოსდიოდათ. საოცრად მოძრავი და აგრესიული მოთამაშეები ჰყავთ. მე ისევ ცენტრში, პერსონალურად კაცზე ვითამაშე.

**— გაშვებულ გოლში ხომ არ შეგიცოდავს?**

— არა, ამჯერად არც პენალტი დაუბრალებიათ ჩემთვის და არც სხვა რამ. ესპანელებმა ანგარიში თამაშის დაწყებისთანავე გახსნეს. ფლანგურ ჩაწოდებას საჯარიმოს მარჯვენა კუთხიდან შეუჩერებელი დარტყმა მოჰყვა. მეც და სხვებიც უძლურები ვიყავით, რამე გვეღონა. გაშვებული გოლის შემდეგ მიხაილიჩენკო ხშირად მომიწოდებდა სტანდარტულ დროს შეტევაში ჩართვისკენ. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ესპანეთში გახურებული სეზონია, ჩვენ კი ახლა შევდივართ ფორმაში. მეც ვატყობ თავს, რომ საკმაოდ მოვუმატე და მოვლონიერდი.




**— როგორ ატყობ, მიხაილიჩენკო ძირითადისთვის გამზადებს?**

— ლაპარაკი და გულის გადახსნა მისი სტილი არაა. თამაშისას ან ვარჯიშისას თუ შეგაქო, უკვე ბევრია. ისე კი, ვგრძნობ, ჩემი ეიმედება.

**— ესპანეთში საკმაოდ დამღლელი მოსამზადებელი გქონდათ, არ გასვენებენ?**

— ორი დღე დავისვენებთ. გერმანულ „ჰოფენჰაიმთან“ მე არ ვითამაშებ, ისინი ითამაშებენ, ვინც „ალბასეტესთან“ შეხვედრისას დაისვენა. თანაც ბოლო მატჩში ფეხის მცირე ტრავმაც მივიღე, თუმცა სერიოზული არაფერია, ნაკრებს კვიპროსზე შევუერთდები. ახლა ის მითხარი, თუ გაირკვა, მწვრთნელი ვინ იქნება?

**— კვიპროსზე ჩასულს დაგახვედრებენ, ყოველ შემთხვევაში, ასეა ცნობილი...**

— ოღონდ მწვრთნელი გვეღირსოს და.... სიმართლე გითხრა, ახლა ამის ინტერესითაც მივდივარ კვიპროსზე...

**დავით ერაძე**




# რავარც ქუთაისში. სიმონ...

**სიმფეროპოლის** „ტავრიას“ ახალწვეულმა გიორგი იმედაძემ „ზირკასთან“ ამხანაგურ მატჩში გოლი რომ გაიტანა, ეს უკვე გაუწყეთ. იმ მატჩის შემდეგ მხარეები კიდევ ერთ სპარინგზე შეთანხმდნენ და გუშინწინ „ტავრიამ“ პირველი შეხვედრის 1:0 თითქმის გაახუთმაგა. სიმფეროპოლელებმა 5:1 მოიგეს და აქედან ორი გოლი ქართველებზეა — იმედაძის ზედიზედ მეორე გოლს თავისი ზურაბ იონანიძემაც მიუმატა.

არადა, „ტავრიას“ ხელმძღვანელობა თავიდან თითქოს უკმაყოფილო ჩანდა იმედაძის სათამაშო ფორმით, თუმც ჩვენებურს გუნდში ვარჯიშის ნება მაინც დართეს. ჰოდა, გიორგიმაც შანსი ხელიდან არ გაუშვა და ჯერჯერობით მოედანს უგოლოდ არ ტოვებს.

**ბახა შალამბერიძე**

## წიგნი, რომელსაც წაიკითხავთ

*საქართველოში ჯერ არ არსებობს პრეცედენტი, რომ მოქმედ ფეხბურთელს ავტობიოგრაფიული წიგნი დაეწეროს — ეს ევროპული საფეხბურთო კულტურის ერთ-ერთი გამოვლინებაა, მაგრამ შოთა არველაძემ გადაწყვიტა, ამ საქმის ქართველი პიონერი გახდეს.*

*შოთას ავტობიოგრაფიული წიგნი რამდენიმე თვეში გამოიცემა და რამდენიმე ენაზეც ითარგმნება. „სარბიელმა“ კი არველაძეს თხოვნით მიმართა, ამ ჯერაც გამოუქვეყნებელი წიგნიდან ერთი თავის დაბეჭდვის ნება დაერთო და შოთასგან თანხმობა მივიღეთ, რისთვისაც მას მადლობას ვუხდით.*

*იმასაც დავძენთ, რომ არც ქართულ სპორტულ პრესაში ყოფილა იმის პრეცედენტი, რომელიმე გაზეთს ასეთი მასალა გამოექვეყნებინოს. მოკლედ, გთავაზობთ შოთას წიგნის ერთ თავს, რომელშიც ბავშვობის მოგონებებია მონათხრობი.*

**დავით თავართქილაძე**



# მე და აჩი

## პირველი ტყუპი ისტორიები



შოთა და არჩილი: ის დრო, როცა ბედიც და ძილიც ტყუპი იყო

**დავიბადე** 1973 წლის 22 თებერვალს თბილისში და როგორც იცით, მარტო არ ვყოფილვარ — აჩიზე 20 წუთით უფროსი გახლავართ. თავიდანვე კაფანდარა და ჭირიანი ბავშვი ვიყავი, ხშირად ვავადმყოფობდი, მშობლები წარამარა ექიმებთან დამატარებდნენ, მაგრამ ფეხბურთისგან, აბა, რა მომგლეჯდა?!

შვიდი წლისა საფეხბურთო სკოლა „ავაზაში“ შევედი მწვრთნელ ოთარ გიგოლაშვილთან. მე და აჩი უკვე გაწაფულები ვიყავით ბურთაობაში, საკმაოდ კარგად ვთამაშობდით. „ავაზაშიც“ ასე იყო — ტყუპები სულ ერთმანეთს ვაწვდიდით ბურთს და თანაგუნდელი ბავშვების მშობლები ბევრს ბრაზობდნენ ამის გამო. თუმც არც სხვა რამ დამიკლია — ძალიან ემოციური ვიყავი, სულ ვჩხუბობდი, ვკაპასობდი და დამსაჯეს კიდეც — კარში ჩამაყენეს. ურიგო მეკარე როდი გამოვდექი, აჩი და ჩვენი უფროსი ძმა, რეზიც დაუზარებლად მავარჯიშებდნენ მეკარეობაში, მაგრამ მომბეზრდა მათი და სხვათა მიერ დაშენილი ბურთებისთვის ხტუნვა და კარიდან გამოვედი — ჯერ ნახევარდაცვაში, მერე კი თავდასხმაში.

თუმც „ავაზა“ სულაც არ იყო ერთადერთი ალაგი, სადაც ბურთაობის ჟინის დაცხრომა შემეძლო. ვარჯიშებზე არცთუ ხშირად დავდიოდი, უფრო მეტს ეზოში, ქუჩაში ვთამაშობდი. ავტოფარეხის სახურავი — ეს იყო მაშინ ჩვენი უპირველესი საფეხბურთო მოედანი და იქ ძალიან მაგარი თამაშები მიდიოდა — უბანი უბანზე, კორპუსი კორპუსზე, სანაძლეო მატჩები მარწყვზე, ნაყინზე... და ასე გრძელდებოდა დილიდან საღამომდე. იმდენს ალბათ არც არავინ თამაშობდა ჩვენს ეზოში, რამდენსაც მე და აჩი. ერთხელ მეზობელი ეზოდან საფეხბურთო კარი წამოვიღეთ და ერთი ამბავი ატყდა. სახლშიც კი მოგვივარდნენ და დედაჩემს ჩაუკაკლეს ყველაფერი. თამრიკოსაც მეტი რა უნდოდა და, ქამრით გამოგვიდგა საცემრად.

დედაჩემი ჩემს ფეხბურთით გატაცებას გაგებით ეკიდებოდა, მაგრამ მაინც უფრო სწავლის მომხრე იყო. ეზოში ხშირად არ გვიშვებდა, სახლში ფეხბურთის თამაშიც ხომ აკრძალული გვქონდა, მაგრამ უფეხბურთოდ როგორ მოვისვენებდით?! ჰოდა, ხშირად ოთახებშიც გვიწევდა ბურთაობა. აჩი მაშინაც დანავსული იყო, სულ მას უნდა დაემტვრია ბინაში რაღაც.

დედაჩემისგან განსხვავებით, მამაჩემი ყველანაირად გვიწყობდა ხელს ძმებს, ფეხბურთელები გამოვსულიყავით. „კიჭა“ ყველგან თან დაგვყვებოდა, მაშინც კი, როცა „ავაზადან“ რაიონებში გვიწევდა ჩასვლა. უხაროდა, ფეხბურთზე უზომოდ შეყვარებულები რომ ვიყავით და საფეხბურთო ინვენტარსაც არ გვაკლებდა. 1984 წელს მამა საფრანგეთში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე იყო წასული და შინ რომ დაბრუნდა, ღამის სამი საათი იყო. საჩუქრად ის ბურთები ჩამოგვიტანა, რომლითაც ამ ევროპის ჩემპიონატზე თამაშობდნენ — „ტანგო ევროპა“ — და ოთახში შემოაგორა ისინი — ჩვენი სიხარული არანორმალური იყო, იმ ღამეს ლოგინში ის ბურთები ჩავიწვინეთ.

ისე, კარგი ბურთები არასდროს გვაკლდა. ერთხელ ილია დათუნაშვილის ვაჟს მოვპარეთ ჩინებული უნგრული ბურთი „ტიპ-ტოპი“ და აჩისთან ერთად თავს იმით ვიმართლებდი, რომ მამამისი ისეთი ცნობილი ფეხბურთელი იყო, კარგ ბურთს კიდევ მოუტანდა შვილს. სულ კი დაახლოებით ორმოცდაათამდე ბურთი მომიპარავს ბავშვობაში — ეს ჩემი უცნაური ახირება იყო, მაგრამ ნიჭიერი ბავშვისთვის ბურთი არასდროს მომიპარავს. მოპარული ბურთები მე და აჩის ვარჯიშებზეც დაგვქონდა. ბურთები არა და არ ილეოდა, — დაბადების დღეებზეც ჩვენთვის საჩუქრად უმეტესად ბურთები მოჰქონდათ.

ბურთაცაცობა — ეს ჩემი გამხელილი ცოდვაც ქუჩის ფეხბურთის ნაწილი გახლდათ. საქართველოში და, ვფიქრობ, ყველა საფეხბურთო ქვეყანაში ეზოს ფეხბურთს განსაკუთრებულად დიდი მნიშვნელობა აქვს. მიმაჩნია, რომ ბავშვს, ვისაც ასეთი სკოლა არ გაუვლია, დიდი ფეხბურთისკენ გზა მოჭრილი აქვს. ისეთი თავისუფალი აზროვნება, როგორიც ქუჩის ფეხბურთშია, სხვაგან არსადაა. ეზოში შენ გემოზე თამაშობ, საკუთარ ფანტაზიას ანვითარებ და ცდილობ, არავინ შეგზღუდოს, სულ შენი გაიტანო და ეს არის მთავარი.

ბავშვობაშივე ვიგემე პირველი სერიოზული დარტყმა ცხოვრებისგან, თუმც საბოლოოდ ყველაფერი კარგად დამთავრდა. 11 წლისას ფეხბურთის თამაში ამიკრძალეს გულის შუილების გამო. საშინელ დღეში ჩავვარდი, ყველაფერი თავდაყირა დადგა და დიდ განცდებში ვიყავი. ეზოში ყველა ბავშვი ბურთს დასდევდა, მე კი აივანზე დაყუდებული ვუყურებდი მათ და გული მეწურებოდა. ასე გაიარა წელიწადმა და მერე, ბედად, ექიმი ლადო მესხიშვილი ჩამოვიდა მოსკოვიდან. გასინჯვის შემდეგ მითხრა, აბა, ახლა ცოტა იმოძრავე, ფიზიკურად დაიტვირთეო. მერე ხელმეორედ გამსინჯა და აღმოჩნდა, რომ დატვირთვებისას გულის შუილები ქრებოდა. წადი და რამდენიც გინდა, ითამაშე ეგ შენი ფეხბურთიო — ასეთი დანიშნულებით გამომიშვა და მეც მეცხრე ცაზე ავფრინდი...

ამის შემდეგ დავბრუნდი „ავაზაში“. ჩვენი ყველაზე უხერხული მეტოქეები 35-ე სკოლა და „ნორჩი დინამოელი“ იყვნენ. „ავაზას“ არ ჰყავდა მაინცდამაინც ძლიერი გუნდი, მაგრამ ჩემი და აჩის წყალობით სხვადასხვა ტურნირების ფინალში სისტემატურად გავდიოდით. თუმც ფინალში „დინამოს“ მაინც ვერ ვუგებდით, „ნორჩი დინამოელი“ „ავაზაზე“ ძლიერი იყო, იქ სხვათა გარდა გიორგი ქინქლაძე და გიორგი ანჩაბაძე თამაშობდნენ.

„ავაზაში“ მაშინ ჩვენი მწვრთნელი ვილი ჩიგოგიძე იყო — ფეხბურთის ნამდვილი ფანი, ვისაც მე და აჩი ძალიან ვუყვარდით. ჩიგოგიძე საკუთარი მანქანით გამოგვივლიდა ხოლმე ავაზელებს და ვარჯიშზე მივყავდით, სახლებშიც თავისივე მანქანით გვარიგებდა, მოკლედ, გადაყოლილი იყო ბავშვებზე. მაგრამ დადგა დრო, რომ მისთვის ჩემი გადაწყვეტილება მეთქვა — 35-ე სკოლაში უნდა გადავსულიყავი, ჩემთვის, როგორც მომავალი ფეხბურთელისთვის, ეს აუცილებელი იყო. ძალიან მიჭირდა ჩიგოგიძისთვის ამის გამხელა, საკუთარი თავი უსინდისო მოღალატეც კი მეგონა, მაგრამ ვილი დიდი ადამიანია, თავისი შეგირდებისთვის ყოველთვის საუკეთესო სურდა და ტყუპების გადაწყვეტილებასაც გაგებით მოეკიდა.

35-ე სკოლაში გადასასვლელად, სადაც ფეხბურთის გარდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაშიც უნდა მევლო, იმ სკოლის მიტოვებაც იყო საჭირო, სადაც მანამდე ვსწავლობდით მე და აჩი. ჩვენივე უბანში, დოლიძის ქუჩაზე დავდიოდით 61-ე სკოლაში. ძნელი იყო ამ სკოლის, კლასელების მიტოვებაც, თანაც ჩემი შეყვარებულიც ამავე სკოლაში სწავლობდა, მაგრამ ფეხბურთმა ყველას და ყველაფერს აჯობა — სწავლას, დედის წინააღმდეგობას და ჩემს პირველ სიყვარულსაც.

ფეხბურთზე სულ უფრო და უფრო ვგიჟდებოდი და, როცა დიეგო მარადონას ვუყურე მექსიკა 86-ზე, ამან სულ გადამრია. საფეხბურთო მატჩების საყურებლად თბილისიდან ოდნავ მოშორებით, პანტიანშიც დავდიოდით, საიდანაც ავტომანქანის აკუმულატორზე მიერთებული ტელევიზორით იმ თურქულ ტელეარხებს ვიჭერდით, რომლებიც ევროპულ საფეხბურთო მატჩებს გადმოსცემდნენ. იქ ჩემი, აჩის და რეზის პირად მწვრთნელს, მამაჩემის და ჩვენი მეგობრის ჯემალ ჩიმაკაძეს დავყავდით თავის მანქანით. პანტიანში ამოდიოდნენ კიევის „დინამოს“ გულშემატკივრები, „მე-9 სექტორი“. პანტიანში ვუყურე ჩემპიონთა თასის ფინალს 1985 წელს — „იუვენტუსი“ — „ლივერპული“. მამაჩემის მეგობარ პერონიძის „ზაპოროჟეცში“ ვისხედით, ტელევიზორი კი კაპოტზე იდგა. თამაშის დაწყების წინ ტრაგედია მოხდა, მეტოქე გუნდთა გულშემატკივრებს შორის ჩხუბი ატყდა და ტრიბუნა ჩამოინგრა, ათეულობით ხალხი დაიღუპა. მატჩის შემდეგ კი მანქანების დიდი კოლონა პანტიანიდან თბილისისკენ დაიძრა. პანტიანში გატარებული ის დღე განსაკუთრებულად მახსოვს.

1981 წლის 13 მაისს კი სულ რაღაც შვიდი წლის გახლდით, მაგრამ ამ დღის ჩემი მეხსიერებიდან ამოშლა წარმოუდგენელია — ჩვენმა „დინამომ“ ხომ თასების თასი მოიგო. შინ, დიდ ოთახში ვისხედით მთელ ოჯახი, ისიც კი მახსოვს, ვინ სად იჯდა. თამაშის მერე უფროსებს სახლში რა გააჩერებდათ და ქალაქში გაჩაღებულ ზეიმს შეუერთდნენ, ბავშვები კი შინ დავრჩით ჩვენს აღმზრდელთან ერთად — ქალბატონი ჟენია არაჩვეულებრივი ადამიანი იყო...

35-ე სკოლაში „ავაზაზე“ ბევრად უკეთესი გუნდი დაგვხვდა მე და აჩის. იქ ბევრი ნიჭიერი ბავშვი იყო, თუმც მაღალ დონეზე ჩემი და აჩის გარდა არავის უთამაშია — ზოგს შეუპოვრობა არ ეყო, ზოგსაც არ გაუმართლა. მაგრამ ამ გუნდით შევძელით „ნორჩი დინამოელის“ დამარცხება. ყველაზე უფრო ორი მატჩი დამამახსოვრდა „დინამოსთან“, ორივე ფინალი იყო — ჯერ 5:1 მოვიგეთ, მერე 1:0. პირველ ფინალში აჩიმ ისეთი მაკრატელა გაიტანა, დღესაც ბევრი ვარსკვლავი ინატრებდა.

35-ე სკოლის დირექტორ ანდრო თურქიაზეც უნდა ვთქვა. ის ჩემი დიდი გულშემატკივარი იყო, მან ყველა პირობა შემიქმნა წინსვლისთვის. არც მწვრთნელებს, ნიკო დოლიძესა და დათო ჩახავას ვუკარგავ გარჯას. საერთოდ, ყველას მადლობელი ვარ, ვინც დროულად მიხვდა, რომ შოთა არველაძისგან ფეხბურთელი უნდა გამოსულიყო.

ვერც იმას დავივიწყებ, რომ ჩვენს ბავშვობაში საშინელი საფეხბურთო პირობები იყო. შეხედეთ თანამედროვე ბავშვებს, როგორ არიან ისინი აღჭურვილნი — ბუცები, ფორმები, ბურთები, ხელოვნურსაფრიანი მოედნები, მე კი აღარც მახსოვს, ბავშვობაში სულ რამდენჯერ ვითამაშეთ მინდორზე. ერთს წამოწვიმდა და მორჩა, ბალახის მოედანზე არავინ შეგიშვებდა, ხელოვნურსაფრიანი მოედანი კი იმ დროს საერთოდ არ იყო, მაგრამ მე ალბათ სხვაზე უფრო მეტად მინდოდა და მიყვარდა ფეხბურთის თამაში, სწორედ სურვილმა და სიყვარულმა ითამაშა გადამწყვეტი როლი.

თუმცა, ვერც ბახმაროში გატარებულ არდადეგებს მივჩქმალავ. ბახმარო ხომ საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი მთიანი ადგილია და იქ პირველად ჯემალ ჩიმაკაძემ წაგვიყვანა. დასვენება სუფთა ჰაერზე, გაძლიერებული კვება, ვარჯიში და ტყიან მთებში ხეტიალი — ჩემნაირი ჭირიანი ბავშვისთვის ეს მისწრება იყო. ერთხელ სასწაულ და სასტიკ ამბავსაც შევესწარით — ფერდობზე შემდგარ ბოჩოლას 5-6 არწივი დაეტაკა და ხევში გადაჩეხა. მერე მტაცებლები რამდენიმე წუთს დალეწილი ბოჩოლას თავზე დაფრინავდნენ და როცა დარწმუნდნენ, რომ მომჩივანი და შემცილებელი არავინ ჰყავდათ, მსხვერპლის კორტნას მოჰყვნენ — საინტერესო და საშიში სანახავი გამოდგა ყოველივე.

ბახმაროში შეკრებაზე ჩამოვიდა თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა გუნდი — გელა დარსაძე, გენადი კაპუსტინი, ანდრეი ტიუბინი, მილოვიდოვი... მათ ფეხბურთში გავეჯიბრეთ და უნდა გითხრათ, რომ კალათბურთელები საკმაოდ ძნელად დასაჯაბნნი აღმოჩნდნენ. ძნელი იყო თითოეულის მოტყუება, თანაც ფიზიკურ კონდიციებში ვერ ვჯობნიდი.



პატარა „კიჭები“: აჩიკო და შოთა

ხშირად ავდიოდით ბახმაროს მთების წვერზე მზის ჩასვლის თუ ამოსვლის სანახავად. განსაკუთრებულად ლამაზი იყო მზის ჩასვლა, როცა გავარვარებული პლანეტა შავ ზღვაში იძირება, რამდენიმე ფერი შენს თვალწინ იქმნება, მერე ქრება — ასეთი სასწაულებისთვის ნამდვილად ღირდა ღამეების თენება. ამის შემხედვარეს ბევრი კითხვა გვებადებოდა და წიგნებსაც ჩავკირკიტებდით. სხვათა შორის, სკოლაშიც კარგად ვსწავლობდით, ორიანი არასდროს მიმიღია, თუმც რამდენიმე საგანს ვერ ვიტანდი, ყველაზე უფრო ფიზიკას.

კვებაც განსაკუთრებული გვქონდა ბახმაროში — ფიჭიანი თაფლი, კამეჩის მაწონი და არაჟანი — ბახმაროში გატარებული ერთი თვე ისე მოგვიხდა ჭირიან ბავშვებს, რომ მომდევნო წელიწედსაც გადავწყვიტეთ იქ ჩასვლა — მეორე ჯერზე ბახმაროში ლევან ყიფიანიც წავიყვანეთ. ბახმაროში ჩამოვიდნენ მიშა მესხი უფროსი და უმცროსიც. უფროსი მიშა „ავაზას“ დირექტორი იყო და ჩვენზე ცოტა განაწყენებულიც გახლდათ, 35-ში რომ გადავედით. კარგი ურთიერთობა მქონდა უმცროს მიშა მესხთანაც, ის არაჩვეულებრივად კეთილი და საყვარელი ადამიანი იყო, სასწაული იუმორით, ძალიან ნიჭიერი პიროვნება და ფეხბურთელი...

ბახმაროში რეზი ჩვენთან ერთად არ ყოფილა, მაგრამ მას ტყუპებზე დიდი ამაგი მიუძღვის — საკუთარ თავს უფრო ნაკლებ ყურადღებას უთმობდა, ვიდრე მე და აჩის. ამის გამო მან ბევრი დაკარგა თავისი კარიერისთვის. რეზიმ ბუნდესლიგის „კიოლნიც“ კი მიატოვა, რათა ჩვენთან ერთად „დინამოში“ დაბრუნებულიყო. ამის შემდეგ ის ველარ მიბრუნდა „კიოლნში“ — წადი-წამოდი — ასეთებს „კიოლნის“დარ კლუბებში არ ეგუებიან, თანაც მთავარი მწვრთნელის პოსტიდან „კიოლნში“ მორტენ ოლსენი გაუშვეს და რეზიც ველარ დაბრუნდა იქ. ერთი სიტყვით, ჩვენი შეცდომა იყო, რეზი „კიოლნიდან“ რომ წამოვიყვანეთ.

მოკლედ, ზაფხულში ბახმარო, ზამთარში ბაკურიანი და ამან ისე გაგვაკაჟა მე და აჩი, რომ სურდოც კი ღარ გვემართებოდა. ბარემ იმასაც გეტყვით, რომ სიგარეტი არასდროს მომიწევია, ერთი ნაფაზიც კი არ დამირტყამს. მშობლებიც დარწმუნდნენ, რომ ჩვენ შეგვეძლო სპორტსმენობა და წარმატებების მიღწევა — საამისოდ არცთუ სუსტები გამოვდექით და უფრო ფხიანადაც შევუდექით საქმეს.

ბავშვობა მთავრდებოდა, მაგრამ მაშინ ამაზე არც ვფიქრობდით და ვნაღვლობდით. ახლა კი მიჭირს იმაზე ფიქრი, რომ ფეხბურთიც ჩემთვის, ცოტაც და, უნდა დამთავრდეს. ამაზე ფიქრი კიდევ უფრო იმიტომ მიჭირს, რომ აჩი, ვინც, ჩემი აზრით, საქართველოში ერთ-ერთი ნიჭიერი ფეხბურთელი იყო, ტრავმების გამო შორდება ფეხბურთს — ბავშვობაში ვერასდროს წარმოვიდგენდი საკუთარ თავს ასეთ სიტუაციაში — არ ვიცი, რა ვურჩიო აჩის, ტკივილით თამაში არ შეიძლება, ფსიქიკასაც გაუფუჭებს და ხასიათი უკვე ისედაც შეეცვალა. ამ ცოტა ხნის წინ მითხრა, ნეტავ ორივენი ისევ ერთად ვითამაშებდეთ ფეხბურთსო. ასეა, ფეხბურთი მოსვენებას არავის აძლევს, არც ჯანმრთელს, არც ტრავმიანს. ფეხბურთი ვერაგი, განუკურნებელი ავადმყოფობაა, არ არსებობს მისი წამალი და არ არსებობს ქვეყნად ფეხბურთელობაზე უკეთესი ხელობა.



სამივე „დინამოში“: შოთა, რეზო, აჩი

# სამხრეთელი სამხრეთელებთან

## რატის საკუთარ გოლებს [illegible]

*როგორც ჩანს, საახალსეზონოდ რატი ალექსიძის ახალ კლუბს „როსტოვს“ მართლაც სერიოზული გეგმები დაუწყვია. ქართველი ფორვარდის გარდა, როსტოველებმა სამხრეთ აფრიკის ნაკრების ორი წევრი, ტონი კოილი და ბენეტ მნგუნი შეიძინეს. გუნდში კიდევ ერთი სამხრეთაფრიკელია — მეტიუ ბუტი, ჩილეს ნაკრების ექსკაპიტანი მარკო ვილარეკა და ურუგვაელი ომარ პერესიც როსტოველები არიან. რატის მეწყვილე და ალბათ კონკურენტიც რუსეთის ნაკრების კანდიდატი რომან ადამოვი იქნება*



როსტოველები ამჟამად ანთალიაში ემზადებიან. ალექსიძე თავის გუნდს სწორედ ამ, მესამე მოსამზადებელ ეტაპზე შეუერთდა. დონისპირელები თურქეთში 27 თებერვლამდე დარჩებიან. ამხანაგურ მატჩებს კი 16, 19, 23 და 26 თებერვალს ჩაატარებენ, მეტოქეთა ვინაობა ჯერაც არა დაზუსტებულა.

გუშინ ვარჯიშიდან დაბრუნებულ რატის სასტუმროში შევეხმიანეთ და პირველი შთაბეჭდილებების გაზიარება ვთხოვეთ.

**— ანთალიაში თქვენ ჩასვლას ავდარი დაემთხვა, ამან საწვრთნელ პროცესზეც ხომ არ იქონია გავლენა?**

— 12 თებერვალს ჩამოსულებს თავსხმა წვიმა დაგვხდა. მაინც ვივარჯიშეთ, თანაც პროჟექტორების შუქზე, რაც ისედაც კოკისპირულ წვიმას კიდევ უფრო საშინელ სანახავს ხდიდა. ამას დაუმატე ისიც, რომ დახლოებით 5-6 დღე არ მივარჯიშია და, რაღა დაგიმალო, ცოტა გამიჭირდა კიდეც.

**— „როსტოვი“ ალბათ მეტ ყურადღებას ფიზიკურ დატვირთვებს უთმობს?**

— რომ ვთქვა, მარტო ფიზიკური ვარჯიშებია და სხვა არაფერიო, ტყუილი იქნება. ჩვეულებრივი შერეული ვარჯიშებია. დატვირთვა კი დიდია, მაგრამ შუშაკმა ძალიან კარგად მომამზადა და ვუძლებ. „როსტოვსაც“ ორჯერადი ვარჯიში აქვს, დილა-საღამოს, როგორც „დინამოში“ იყო.

**— გუნდში როგორ შეგხვდნენ?**

— მაგარი ბიჭები არიან, თბილად, ჩვენებურად შემხვდნენ. „როსტოვის“ მთავარი მწვრთნელი ვიტალი შევჩენკოც ძალიან კონტაქტური კაცია, წარამარა მეკითხება, როგორ ვარ და რას ვაკეთებ.

**— საკმაოდ ინტერნაციონალური გუნდიცაა შენი „როსტოვი“...**

— ინგლისურ-რუსულად კი ვახერხებ საუბარს, მაგრამ მხოლოდ სამხრეთაფრიკელებთან და რუსებთან. სამხრეთამერიკელებმა კი ესპანურის მეტი არაფერი იციან.

**— გეცოდინება, რომ შენი მთავარი კონკურენტი ადამოვი იქნება...**

— მითხრეს, რომ უმთავრეს კონკურენციას მისგან უნდა ველოდო. ახლა ადამოვი რუსეთის ნაკრებთან ერთად იაპონიაშია და კლუბს მოგვიანებით შემოუერთდება. ეგ არაფერი, აბა, უკონკურენციო გუნდში რა მინდოდა?

**— რუსულ პრესაში უკვე ვარსკვლავადაც მოგიხსენიებენ...**

— მოწონებას და პატივისცემას კლუბშიც ვგრძნობ. მოდიან და მეკითხებიან, ის გოლი ესენგეს თასის ფინალში როგორ შეაგდეო, ან ქუსლით პასი საიდან მოიგონეო და ასე შემდეგ. ჩვენი კლუბის სამხრეთაფრიკელ ფეხბურთელებს ისიც ვუთხარი, რომ ასეთი გოლი მათი ნაკრებისთვისაც გამიტანია. შევჩენკოს ვუთხარი, ორ-სამ დღეში ჩემგან სასწაულების მოლოდინში ნუ იქნებოდნენ, ვინაიდან მცირე უსაქმობაც კი ფორმას მაკარგვინებს. თუმც ისიც ვუთხარი, რომ ერთ კვირაში ჩვეულად ავთამაშდებოდი.

**— ნაკრებს არც შენ შეუერთდები კვიპროსზე?**

— არა. ეს ფეხბურთის ფედერაციასაც ვაცნობე და გამიგეს. „როსტოვში“ ახლა ჩამოვედი, კლუბი მესამე შეკრებაზეა და ესეც რომ გამეცდინა...

**დავით ერაძე**

# სპასიბა, დირიჟორ



*ლატვიელები ერთხელაც ალაპარაკდნენ „სკონტოს“ ქართველ ლეგიონერ ლევან კორღალიძეზე. კაფანდარა კორღალიძემ გუშინწინ „სკონტო ჰოლში“ მისული ორი ათასამდე გულშემატკივარი არ მოაწყინა. ლევანს გვარიანად უჯამბაზია ესტონურ ტვმკ-სთან საკონტროლო მატჩში და ლამის მარტოს მოუგია ტალინელებისთვის.*

*ლატვიელი ჟურნალისტები ფეხბურთს დიდად არ სწყალობენ, მაგრამ ვინც ეს მატჩი ნახა, ყველამ საგანგებოდ აღნიშნა ქართველის კარგი თამაში*

— ესტონელებს ამხანაგურად ვეთამაშეთ ჩვენს ხელოვნურსაფარიან მოედანზე. 4:0 მოვიგეთ. მე ორი გოლი გავიტანე და ერთი საგოლე პასიც გავაკეთე — გვითხრა ლევანმა, გუშინ რიგაში რომ შევეხმიანეთ.

**— სკონტოს“ მწვრთნელი სტარკოვსი კმაყოფილი დარჩებოდა შენი თამაშით...**

— „სპასიბა დირიჟორრო“, მითხრა მატჩის შემდეგ. ისიც თქვა, კარგი იქნებოდა, ლატვიის მოქალაქეობა გქონდეს და ჩვენს ნაკრებში თამაში შეგეძლოსო.

**— რამდენიმე დღეში კვიპროსული ტურნირი იწყება...**

— ბედნიერი ვარ, რომ კვლავ გამომიძახეს ეროვნულ გუნდში. თავს არ დავზოგავ, თანაც კარგ ფორმაში ვარ. ლარნაკაში ზეგ მივფრინავ, ლატვიელებს მივყვები. ვიცი, ტურნირს ბევრი სელექციონერი დაესწრება და იქნებ ამჯერად მაინც გამიმართლოს. კარგი იქნება, თუ „სკონტოზე“ სოლიდურ გუნდში გადასვლის საშუალება გამომიჩნდება.

**პაატა კვანტალიანი**

## იტალია

**თასის ნახევარფინალი
საპასუხო მატჩი**

**ინტერი 2:2დ.დ.(პენ.4:5, 2:2)**
***იუვენტუსი* (2:2)**

1:0 ადრიანო (7), 1:1 ტუდორი (41), 1:2 დელ პიერო (78), 2:2 ადანი (90)
*პენალტები: 1:0 ფარინოსი, 1:1 დელ პიერო, 2:1 ადრიანო, 2:2 მარესკა, 3:2 სტანკოვიჩი, 3:3 ნედვედი, 4:3 პელეგრი, 4:4 ლეგროტალიე, 4:4 ვიერი (მეკარე), 4:5 მიკოლი*
ინტერი: ფონტანა, ი. კორდობა, ადანი, ფ. კანავარო (ვან დერ მეიდე 8; ემრე 61), პელეგრი, ფარინოსი, დ. სტანკოვიჩი, ხ. ძანეტი, კილი გონსალესი (პასკუალე 46), ვიერი, ადრიანო
მწვრთნელი: ალბერტო ძაკერონი
იუვენტუსი: კიმენტი, ფერარა, ლეგროტალიე, მონტერო, პესოტო (ნედვედი 64), ძამბროტა, მარესკა, ტუდორი (ტრეზეგე 41), აპია, დი ვაიო (დელ პიერო 65), მიკოლი
მწვრთნელი: მარჩელო ლიპი
გაფრთხილება: ადანი, დელ პიერო, ფერარა, ძამბროტა
გაძევება: კორდობა (67)
მსაჯი: პელეგრინო
60 000 მაყურებელი

REUTERS მილანიდან



კრისტიან ვიერიმ ანტონიო კიმენტის პენალტი ვერ გაუტანა, თორემ თვალი კი გაუსწორა

# ვიერი დათარსული იყო

იტალიის თასის ფინალში „ლაციოს“ „იუვენტუსი“ შეხვდება — „ბებერმა ქალბატონმა“ ძირითადი დროის ბოლო ოცდაოთხი წუთის და დამატებითი დროის განმავლობაში, გაძევებული ივან კორდობას გარეშე დარჩენილ „ინტერს“ პენალტებით მოუგო.

მოგეხსენებათ, ერთი კვირის წინ „დელე ალპიზე“ ამ გუნდების პირველი ნახევარფინალური მატჩი 2:2 დასრულდა. ასე რომ, „იუვეს“ აშკარად ურთულესი ამოცანის დაძლევა ელოდა, თან არც მეტი, არც ნაკლები, „სან სიროზე“. ამიტომაც დაიწყო მარჩელო ლიპის გუნდმა თამაში სწრაფად, რის გამოც მასპინძლებს დაუყოვნებლივ შეექმნათ პრობლემები. ფაბრიციო მიკოლის უკვე მეხუთე წუთზე შეეძლო თავურით გოლის გატანა, მაგრამ თუ ვინმე დაისაჯა და რასაკვირველია დაცვის უხეში შეცდომის გამო, ცხადია, „იუვენტუსი“ — ადრიანომ ტურინელთა დაცვის ხაზი გაწყვიტა (რაშიც საკუთრივ მცველმა, ნიკოლა ლეგროტალიემ შეიტანა თავისი წვლილი) და ანგარიში გახსნა.

თამაში ცენტრიდან განახლდა და — ნუ გაგიკვირდებათ — ინიციატივა ისევ „იუვენტუსმა“ იგდო ხელთ. ჯერ იყო და, მარკო დი ვაიომ სცადა საჯარიმოს გარედან გატანა, შემდეგ მიკოლიმ შეასრულა ჯარიმა სახიფათოდ, ხოლო კიდევ ერთი ხნის მერე იგორ ტუდორმა გაუშვა ხელიდან დიდებული შესაძლებლობა.

და რას აკეთებდა ამასობაში „ინტერი“? მასპინძლებმა პირველივე ნახევარმომენტით კინაღამ ისარგებლეს. დაცვის ხაზი ამჯერად ვიერიმ გაარღვია, მაგრამ მისი დიაგონალური დარტყმული ამჯერად ძელმა აისხლიტა. 37-ე წუთზე კი „შავ-ლურჯებმა“ ისევ ძელი შეაზანზარეს — ხარიხას ამჯერად კოლის საჯარიმოს გარედან გასროლილი მოხვდა.

„იუვენტუსმა“ შესვენების წინ გაათანაბრა — მიკოლის დარტყმა ვილაცამ აისხლიტა და ბურთი ტუდორს ჩაუვარდა, რომელმაც ახლოდან ძლიერად დაარტყა და მიზანს მიაღწია, ოღონდ დაშავდა კიდეც და მის მაგივრად მოედანზე დაუყოვნებლივ შევიდა დავიდ ტრეზეგე.

შესვენების შემდეგ როგორც ერთ, ისევე მეორე კართან მომენტები ნაკლები იყო, მაგრამ დაძაბულობამ უთუოდ იმატა. მარჩელო ლიპიმ მოედანზე პაველ ნედვედი და ალესანდრო დელ პიერო შეუშვა, რათა „ბებერ ქალბატონს“ მეორე სტუმრული გოლი გაეტანა, ამოცანა ივან კორდობას გაძევების შემდეგ თითქოს გაადვილდა — კოლუმბიელის გაძევების მიზეზი კარისკენ ჯიქურ წასული ნედვედის წაქცევა გახლდათ — მაგრამ საინტერესო ის არის, რომ ამ ეპიზოდის შემდეგ პირველი საინტერესო ფაქტი მოხდა, პაოლო მონტეროს მიერ თავის საჯარიმოში ემრეს წაქცევა იყო, ოღონდ მსაჯმა პელეგრინომ პენალტი არ დანიშნა. ბუნებრივია, პელეგრინოს ამ გადაწყვეტილებამ „ინტერის“ ფეხბურთელები და „სან სიროზე“ მისული მაყურებელი განარისხა და ამასობაში მიკოლის ჩაწოდებულ კუთხურზე თავის შედეგიანი მირტყმით ცეცხლზე ნავთი დელ პიერომ დაასხა — 1:2.

ამრიგად, ძირითადი დროის დასრულებამდე 13 წუთით ადრე სტუმრებმა ანგარიშშიც მოიპოვეს უპირატესობა და მოედანზე მეტნიც დარჩნენ, რის გამოც ბურთს ერთგვარი სიმსუბუქით აგორებდნენ აქეთ-იქით, მაგრამ „ინტერმა“ ბრძოლა არ შეწყვიტა და მსაჯის წამატებულ წუთებზე ადანიმ ანგარიში გაათანაბრა.

დამატებით დროში როგორც ერთი, ასევე მეორე გუნდის ფეხბურთელები თვალსაჩინოდ დაიღალნენ და ასეთ პირობებში „იუვე“ უკეთ თამაშობდა — გოლის გატანა ლეგროტალიემაც სცადა, მიკოლიმაც, აპიამაც და ნედვედმაც, თუმცა ყველაზე სახიფათო მომენტი მაინც ისევ აქეთა კართან შეიქმნა და იგი ადანის ჩაუვარდა ხელთ. მეტიც, მას ეგონა, რომ გოლი გაიტანა, მაგრამ დელ პიერომ ხაზიდან გამოიტანა ბურთი.

პენალტების სერიაში კი კრისტიან ვიერის გარდა ყველამ გაიტანა. მას მეკარე კიმენტიმ აუღო.

**პაპუნა ძიდია**

# შავ-წითელი მოგიხდებოდა, ლუიშ
## მილანი ბებერ ფიგუზეც ყაბულსაა



**გუშინდელი** იტალიური გაზეთები ერთხმად იტყობინებოდნენ, რომ არის ახალი ვერსია, რომლის თანახმად მადრიდის „რეალის“ პორტუგალიელი ვარსკვლავი, ლუიშ ფიგუ ზაფხულზე შესაძლოა „მილანში“ გადავიდეს. მილანელები ფიგუსადმი ინტერესით ადრეც გამოირჩეოდნენ და რამდენჯერმე სცადეს კიდეც მისი გადაბირება, მაგრამ ფეხბურთელი 34 წლისა ისე მოიყარა, რომ „მილანს“ არ რგებია. როგორც ამბობენ, „შავ-წითლები“ დღევანდელი ფიგუთიც სიამოვნებით გაძლიერდებოდნენ.

დღეს უცნობია, მოისურვებს თუ არა „რეალი“ ფიგუს გაყიდვას. მეორე მხრივ ფაქტია, რომ თუ პორტუგალიელი წავა, მისი ფუნქციის შემსრულებელს მადრიდელები დიდ ძებნას არ დაუწყებენ, რადგან უბადლო მარჯვენა ნახევარმცველი, დევიდ ბექემი მათთან თამაშობს და მხოლოდ მინდორზე მოუწევს არცთუ დიდი და მტკივნეული გადაადგილება.

რაც შეეხება ფიგუს და სერია A-ს ურთიერთობას, იყო დრო, როდესაც ფეხბურთელს „იუვენტუსთან“ ყველაფერი მოლაპარაკებული ჰქონდა, მაგრამ როგორც გაირკვა, იმავდროულად „პარმასთან“ ჰქონია კონტრაქტისთვის ხელი მოწერილი, მაგრამ საბოლოოდ „ბარსელონაში“ აღმოჩნდა.

„მილანს“ კი თურმე ფიგუს გარდა თვალი „ტრიესტინას“ მოთამაშისთვის, დავიდე მოსკარდელისთვისაც დაუდგამს. მოსკარდელი ახალგაზრდა კაცია, რომელმაც სერია B-ში 14 გოლით გამოიჩინა თავი. ამბობენ, რომ „შავ-წითლები“ სანაცვლოდ 21-წლამდელთა ნაკრების წევრს, მარკო ბორიელოს, ოღონდ დროებით და 3,6 მილიონ გირვანქას გადიან.

**პაპუნა ძიდია**



# ბაბუა ჰყავდა იტალიელი
## სკილაჩის ბებერი ქალბატონი უნდა

**„მონაკოს“** დიდად ნაქები მცველი სებასტიან სკილაჩი შეიძლება მომავალი სეზონიდან „იუვენტუსის“ ფეხბურთელი გახდეს. 23 წლის მოთამაშეს ტურინელები ერთი ხანია, აკვირდებიან და ამასწინათ მისი თამაშის სანახავად საფრანგეთში საგანგებოდ გახლდნენ „ბებერი ქალბატონის“ გაწაფული საქმოსნები, ანტონიო ჯირაუდო, რობერტო ბეტეგა და ლუჩანო მოჯი.

„ვიცოდი, რომ ისინი სადღაც ტრიბუნაზე ისხდნენ, მაგრამ პირადად არ შევხვედრივარ — განაცხადა ფეხბურთელმა, რომლის ბაბუაც იტალიაში, რეჯო კალაბრიაში ყოფილა დაბადებული — ისიც ვიცი, რომ ერთი ხანია, „იუვენტუსი“ მაკვირდება და ეს ძლიერ მსიამოვნებს, თუმცა, სიმართლე რომ გითხრათ, ამ ამბავს ჩემი ცხოვრება არ შეუცვლია. ჩემი სურვილია, „მონაკოში“ რაც შეიძლება უკეთ ვითამაშო და მართალია, მომავალში სიამოვნებით ვითამაშებ იტალიაში, ამ წუთას საფრანგეთის პირველობის ამბებით ვარ დაკავებული“.

**პაპუნა ძიდია**

# აფრიკის ეროვნებათა თასი 2004
## ტუნისი. 24 იანვარი — 14 თებერვალი

TUNISIA 2004 NOKIA African Cup Of Nations

## ტუნისი — ფინალი ანონსი — მაროკო

# ჩრდილოაფრიკული აფრიკა






მაროკო ამ აფრიკის თასზე ყველაზე დისციპლინირებული გუნდია და მისი მთავარი კოზირიც ეს არის. ტუნისი კი, მოგეხსენებათ, შეჯიბრის მასპინძელია და თუ უპირატესობაზე ვილაპარაკებთ, ტუნისელები ამით სჯაბნიან მეტოქეს.

უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ ტუნისი ერთ-ერთი უძლიერესი საფეხბურთო ქვეყანაა შავ კონტინენტზე და ერთი ხანობა, მისი მომგები ძნელად თუ მოიძებნებოდა. მაგრამ მიუხედავად ამისა, ტუნისს არასდროს მოუგია აფრიკის თასი. ორჯერ ფინალში გავიდა და სულ ეს იყო.

საფეხბურთო ქვეყანაა მაროკოც, ვინძლო, ტუნისზე უფრო დიდი, მაგრამ არც მაროკოელებს სწყალობდათ ბედი — მაროკოსთვის ერთი ჩემპიონობა ძალიან ცოტაა.

დღევანდელ დაპირისპირებას ერთი ინტრიგაც ახლავს. საქმე ის არის, რომ მაროკოსაც და ტუნისსაც 2010 წელს მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობა სურთ და კონტინენტის უძლიერესი ქვეყნის სახელი ეგებ ერთი არგუმენტიც იყოს დღევანდელი ფინალის გამარჯვებულისთვის. თანაც ეს ფინალი ერთგვარი დერბია, რაკი ორივე ქვეყანა ჩრდილოაფრიკელი მეზობლები არიან.

და კიდევ, 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ტუნისი და მაროკო თანაჯგუფელები არიან, რაც ნიშნავს, რომ ერთ-ერთი მათგანი უთუოდ დარჩება მუნდიალს მიღმა.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ როგორც კი მსაჯი თამაშის დაწყების ნიშანს მისცემს, ზემოთ ჩამოთვლილი ამბები არავის გაახსენდება.



# მსაჯი, რა მსაჯი

**ბოროტი** ენები ამბობენ, ტუნისელებს, როგორც შეჯიბრის მასპინძლებს, მსაჯები სწყალობენო. ვინძლო, ტყუილი იყოს, მაგრამ უცნაურ ამბავთან გვაქვს საქმე — დღევანდელი ფინალის არბიტრი სენეგალელი ფალა ნდიოე იქნება, ეს მსაჯი კი სამი წლის წინ უვარგისი მსაჯობისთვის დიდი შეჯიბრებებიდან მოკვეთილი იყო.

ნდიოე 2001 წლის თებერთალში აფრიკის კონფედენაციამ აფრიკის თასის შესარჩევ ეტაპზე ანგოლასა და ბურკინა ფასოს მატჩის გარჩევის მერე ერთი წლით მოკვეთა. იმ მატჩში ნდიოემ ანგოლელებს უნაღდესი გოლი არ ჩაუთვალა და წასაგებად გაწირა.

ბოროტ ენებს ნუ დავუჯერებთ, მაგრამ ასეთი მსაჯის ფინალში დანიშვნა, რას უნდა ნიშნავდეს?

## ტუნისი აფრიკის თასზე

| | |
|---|---|
| 1962 | ნახევარფინალი |
| 1963 | ჯგუფური ეტაპი |
| 1965 | ფინალი |
| 1968 | კვალიფიკაცია ვერ გაიარა |
| 1976 | კვალიფიკაცია ვერ გაიარა |
| 1978 | ნახევარფინალი |
| 1982 | ჯგუფური ეტაპი |
| 1984 | კვალიფიკაცია ვერ გაიარა |
| 1986 | კვალიფიკაცია ვერ გაიარა |
| 1988 | კვალიფიკაცია ვერ გაიარა |
| 1990 | კვალიფიკაცია ვერ გაიარა |
| 1992 | კვალიფიკაცია ვერ გაიარა |
| 1994 | ჯგუფური ეტაპი |
| 1996 | ფინალი |
| 1998 | მეოთხედფინალი |
| 2000 | ნახევარფინალი |
| 2002 | ჯგუფური ეტაპი |

*ფინალურ ეტაპზე: 40 მატჩი, 12 მოგება, 5 ფრე, 13 წაგება 50:49*

## მაროკო აფრიკის თასზე

| | |
|---|---|
| 1963 | კვალიფიკაცია ვერ გაიარა |
| 1965 | მონაწილეობა არ მიუღია |
| 1968 | მონაწილეობა არ მიუღია |
| 1970 | კვალიფიკაცია ვერ გაიარა |
| 1972 | ჯგუფური ეტაპი |
| 1974 | მონაწილეობა არ მიუღია |
| 1976 | ჩემპიონი |
| 1978 | ჯგუფური ეტაპი |
| 1980 | ნახევარფინალი |
| 5527 | ბრეშა-სამპდორია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5528 | ინტერი-უდინეზე | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5529 | ლეჩე-მილანი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5530 | სიენა-პარმა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5531 | იუვენტუსი-რეჯინა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5533 | მურსია-სევილია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5534 | სოსიედადი-ბილბაო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5535 | მალიორკა-ალბასეტე | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5536 | დეპორტივო-ოსასუნა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5537 | მალაგა-ესპანიოლი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5538 | ვალიადოლიდი-სელტა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5539 | ვილიარეალი-რასინგი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5540 | ბეტისი-სარაგოსა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5541 | ბარსელონა-ატლეტიკო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5542 | რეალი-ვალენსია | 3,0 | 2,8 | 2,0 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 5413 | ჰამბურგი-ვოლფსბურგი | 1,6 | 2,4 |
| 5414 | შტუტგარტი-მიონხენგლადბახი | 1,4 | 3,0 |
| 5415 | ფრაიბურგი-ჰერტა | 1,8 | 2,0 |
| 5416 | აინტრახტი-ჰანზა | 1,8 | 2,0 |
| 5417 | ჰანოვერი-ლევერკუზენი | 1,95 | 1,85 |
| 5418 | ბოხუმი-ბაიერნი | 2,2 | 1,7 |
| 5419 | კიოლნი-შალკე | 1,95 | 1.85 |
| 5420 | ვერდერი-კაიზერსლაუტერნი | 1,35 | 3.2 |
| 5421 | მიუნხენი-დორტმუნდი | 1,9 | 1,9 |
| 5422 | ლაციო-ემპოლი | 1,25 | 3.7 |
| 5424 | პერუჯა-კიევო | 1,85 | 1,95 |
| 5425 | ანკონა-რომა | 3,7 | 1,25 |
| 5426 | ბოლონია-მოდენა | 1,55 | 2,5 |
| 5427 | ბრეშა-სამპდორია | 1,8 | 2,0 |
| 5428 | ინტერი-უდინეზე | 1,3 | 3,4 |
| 5429 | ლეჩე-მილანი | 2,8 | 1,45 |
| 5430 | სიენა-პარმა | 1,85 | 1,95 |
| 5431 | იუვენტუსი-რეჯინა | 1,2 | 4,0 |
| 5433 | მურსია-სევილია | 1,85 | 1.95 |
| 5434 | სოსიედადი-ბილბაო | 1,7 | 2.2 |
| 5435 | მალიორკა-ალბასეტე | 1.55 | 2.5 |
| 5436 | დეპორტივო-ოსასუნა | 1,45 | 2,8 |
| 5437 | მალაგა-ესპანიოლი | 1,7 | 2,2 |
| 5438 | ვალიადოლიდი-სელტა | 1,8 | 2,0 |
| 5439 | ვილიარეალი-რასინგი | 1,75 | 2.1 |
| 5440 | ბეტისი-სარაგოსა | 1,5 | 2,6 |
| 5441 | ბარსელონა-ატლეტიკო | 1,5 | 2,6 |
| 5442 | რეალი-ვალენსია | 1,5 | 2,6 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5113 | ჰამბურგი-ვოლფსბურგი | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 5114 | შტუტგარტი-მიონხენგლადბახი | 2,0 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,6 | 11,0 | 20,0 | 10.0 | 10,0 |
| 5115 | ფრაიბურგი-ჰერტა | 3,1 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 5116 | აინტრახტი-ჰანზა | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 5117 | ჰანოვერი-ლევერკუზენი | 4,0 | 10,0 | 20,0 | 4,8 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| 5118 | ბოხუმი-ბაიერნი | 5,3 | 10,0 | 20,0 | 6,0 | 4,4 | 4,0 | 20,0 | 10,0 | 3,0 |
| 5119 | კიოლნი-შალკე | 4,0 | 10,0 | 20,0 | 4,8 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,5 |
| 5120 | ვერდერი-კაიზერსლაუტერნი | 1,8 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,6 | 12,0 | 20,0 | 12,0 | 12,0 |
| 5121 | მიუნხენი-დორტმუნდი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| 5122 | ლაციო-ემპოლი | 1,7 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 4,8 | 14,0 | 20,0 | 12,0 | 12,0 |
| 5124 | პერუჯა-კიევო | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 5125 | ანკონა-რომა | 12,0 | 12,0 | 20,0 | 12,0 | 4,8 | 3,4 | 30,0 | 15,0 | 1,7 |
| 5126 | ბოლონია-მოდენა | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 5127 | ბრეშა-სამპდორია | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,8 |
| 5128 | ინტერი-უდინეზე | 1,9 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,4 | 12,0 | 20,0 | 11,0 | 11,0 |
| 5129 | ლეჩე-მილანი | 9,0 | 10,0 | 20,0 | 9,0 | 4,4 | 3,4 | 20,0 | 10,0 | 2,2 |
| 5130 | სიენა-პარმა | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 5131 | იუვენტუსი-რეჯინა | 1,4 | 20,0 | 40,0 | 3,5 | 6,0 | 20,0 | 30,0 | 20,0 | 20,0 |
| 5133 | მურსია-სევილია | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 5134 | სოსიედადი-ბილბაო | 3,1 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 5135 | მალიორკა-ალბასეტე | 2,1 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 1,00 | 7,5 |
| 5136 | დეპორტივო-ოსასუნა | 2,1 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 5137 | მალაგა-ესპანიოლი | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 5138 | ვალიადოლიდი-სელტა | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 5139 | ვილიარეალი-რასინგი | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 5140 | ბეტისი-სარაგოსა | 2,3 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 5141 | ბარსელონა-ატლეტიკო | 2,3 | 1,00 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 8,5 | 20,0 | 10,0 | 7,5 |
| 5142 | რეალი-ვალენსია | 2,3 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5013 | ჰამბურგი-ვოლფსბურგი | 2,25 | 2,15 | 4,6 | 1,09 | 1,51 | 1,46 |
| 5014 | შტუტგარტი-მიონხენგლადბახი | 1,85 | 2,35 | 5,6 | 1,03 | 1,39 | 1,65 |
| 5015 | ფრაიბურგი-ჰერტა | 2,5 | 2,15 | 3,6 | 1,15 | 1,47 | 1,34 |
| 5016 | აინტრახტი-ჰანზა | 2,7 | 2,1 | 3,5 | 1,18 | 1,52 | 1,31 |
| 5017 | ჰანოვერი-ლევერკუზენი | 3,2 | 2,1 | 3,0 | 1,26 | 1,54 | 1,23 |
| 5018 | ბოხუმი-ბაიერნი | 4,0 | 2,15 | 2,4 | 1,39 | 1,5 | 1,13 |
| 5019 | კიოლნი-შალკე | 3,4 | 2,1 | 2,8 | 1,29 | 1,53 | 1,19 |
| 5020 | ვერდერი-კაიზერსლაუტერნი | 1,7 | 2,7 | 5,6 | 1,04 | 1,3 | 1,82 |
| 5021 | მიუნხენი-დორტმუნდი | 3,2 | 2,15 | 2,9 | 1,28 | 1,52 | 1,23 |
| 5022 | ლაციო-ემპოლი | 1,6 | 2,8 | 7,0 | 1,01 | 1,3 | 2 |
| 5024 | პერუჯა-კიევო | 2,8 | 2,05 | 3,5 | 1,18 | 1,55 | 1,29 |
| 5025 | ანკონა-რომა | 7,0 | 2,8 | 1,6 | 2 | 1,3 | 1,01 |
| 5026 | ბოლონია-მოდენა | 2,2 | 2,1 | 5,0 | 1,07 | 1,52 | 1,47 |
| 5027 | ბრეშა-სამპდორია | 2,9 | 2,05 | 3,4 | 1,2 | 1,56 | 1,27 |
| 5028 | ინტერი-უდინეზე | 1,75 | 2,5 | 5,6 | 1,02 | 1,33 | 1,72 |
| 5029 | ლეჩე-მილანი | 6,0 | 2,15 | 2,0 | 1,58 | 1,5 | 1,03 |
| 5030 | სიენა-პარმა | 3,0 | 2,05 | 3,3 | 1,21 | 1,57 | 1,26 |
| 5031 | იუვენტუსი-რეჯინა | 1,4 | 3,4 | 8,0 | 1 | 1,19 | 2,38 |
| 5033 | მურსია-სევილია | 2,8 | 2,05 | 3,5 | 1,18 | 1,55 | 1,29 |
| 5034 | სოსიედადი-ბილბაო | 2,5 | 2,05 | 4,0 | 1,12 | 1,53 | 1,35 |
| 5035 | მალიორკა-ალბასეტე | 2,1 | 2,15 | 5,3 | 1,06 | 1,5 | 1,52 |
| 5036 | დეპორტივო-ოსასუნა | 1,9 | 2,25 | 6,0 | 1,03 | 1,44 | 1,63 |
| 5037 | მალაგა-ესპანიოლი | 2,5 | 2,05 | 4,0 | 1,12 | 1,53 | 1,35 |
| 5038 | ვალიადოლიდი-სელტა | 2,8 | 2,05 | 3,5 | 1,18 | 1,55 | 1,29 |
| 5039 | ვილიარეალი-რასინგი | 2,5 | 2,05 | 4,0 | 1,12 | 1,53 | 1,35 |
| 5040 | ბეტისი-სარაგოსა | 2,05 | 2,2 | 5,3 | 1,06 | 1,47 | 1,55 |
| 5041 | ბარსელონა-ატლეტიკო | 2,0 | 2,25 | 5,3 | 1,05 | 1,45 | 1,57 |
| 5042 | რეალი-ვალენსია | 2,1 | 2,15 | 5,3 | 1,06 | 1,5 | 1,52 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 5213 | ჰამბურგი-ვოლფსბურგი | 2,0 | 1,6 |
| 5214 | შტუტგარტი-მიონხენგლადბახი | 1,95 | 1,65 |
| 5215 | ფრაიბურგი-ჰერტა | 2,0 | 1,6 |
| 5216 | აინტრახტი-ჰანზა | 1,9 | 1,7 |
| 5217 | ჰანოვერი-ლევერკუზენი | 2,1 | 1,55 |
| 5218 | ბოხუმი-ბაიერნი | 2,0 | 1,6 |
| 5219 | კიოლნი-შალკე | 1,85 | 1,75 |
| 5220 | ვერდერი-კაიზერსლაუტერნი | 2,2 | 1,5 |
| 5221 | მიუნხენი-დორტმუნდი | 1,9 | 1,7 |
| 5222 | ლაციო-ემპოლი | 2,0 | 1,6 |
| 5224 | პერუჯა-კიევო | 1,85 | 1,75 |
| 5225 | ანკონა-რომა | 1,85 | 1,75 |
| 5226 | ბოლონია-მოდენა | 1,7 | 1,9 |
| 5227 | ბრეშა-სამპდორია | 1,7 | 1,9 |
| 5228 | ინტერი-უდინეზე | 1,9 | 1,7 |
| 5229 | ლეჩე-მილანი | 1,85 | 1,75 |
| 5230 | სიენა-პარმა | 1,85 | 1,75 |
| 5231 | იუვენტუსი-რეჯინა | 2,0 | 1,6 |
| 5233 | მურსია-სევილია | 1,7 | 1,9 |
| 5234 | სოსიედადი-ბილბაო | 1,85 | 1,75 |
| 5235 | მალიორკა-ალბასეტე | 1,8 | 1,8 |
| 5236 | დეპორტივო-ოსასუნა | 1,9 | 1,7 |
| 5237 | მალაგა-ესპანიოლი | 1,8 | 1,8 |
| 5238 | ვალიადოლიდი-სელტა | 1,75 | 1,85 |
| 5239 | ვილიარეალი-რასინგი | 1,8 | 1,8 |
| 5240 | ბეტისი-სარაგოსა | 1,8 | 1,8 |
| 5241 | ბარსელონა-ატლეტიკო | 1,9 | 1,7 |
| 5242 | რეალი-ვალენსია | 1,95 | 1,65 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 5313 | ჰამბურგი-ვოლფსბურგი | 1,6 | 2,0 |
| 5314 | შტუტგარტი-მიონხენგლადბახი | 1,7 | 1,9 |
| 5315 | ფრაიბურგი-ჰერტა | 1,6 | 2,0 |
| 5316 | აინტრახტი-ჰანზა | 1,65 | 1,95 |
| 5317 | ჰანოვერი-ლევერკუზენი | 1,6 | 2,0 |
| 5318 | ბოხუმი-ბაიერნი | 1,6 | 2,0 |
| 5319 | კიოლნი-შალკე | 1,55 | 2,1 |
| 5320 | ვერდერი-კაიზერსლაუტერნი | 1,7 | 1,9 |
| 5321 | მიუნხენი-დორტმუნდი | 1,55 | 2,1 |
| 5322 | ლაციო-ემპოლი | 1,7 | 1,9 |
| 5324 | პერუჯა-კიევო | 1,6 | 2,0 |
| 5325 | ანკონა-რომა | 1,75 | 1,85 |
| 5326 | ბოლონია-მოდენა | 1,65 | 1,95 |
| 5327 | ბრეშა-სამპდორია | 1,65 | 1,95 |
| 5328 | ინტერი-უდინეზე | 1,7 | 1,9 |
| 5329 | ლეჩე-მილანი | 1,7 | 1,9 |
| 5330 | სიენა-პარმა | 1,6 | 2,0 |
| 5331 | იუვენტუსი-რეჯინა | 1,85 | 1,75 |
| 5333 | მურსია-სევილია | 1,65 | 1,95 |
| 5334 | სოსიედადი-ბილბაო | 1,6 | 2,0 |
| 5335 | მალიორკა-ალბასეტე | 1,65 | 1,95 |
| 5336 | დეპორტივო-ოსასუნა | 1,65 | 1,95 |
| 5337 | მალაგა-ესპანიოლი | 1,65 | 1,95 |
| 5338 | ვალიადოლიდი-სელტა | 1,65 | 1,95 |
| 5339 | ვილიარეალი-რასინგი | 1,65 | 1,95 |
| 5340 | ბეტისი-სარაგოსა | 1,65 | 1,95 |
| 5341 | ბარსელონა-ატლეტიკო | 1,65 | 1,95 |
| 5342 | რეალი-ვალენსია | 1,65 | 1,95 |

## ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

14.0218.30 6002 გერმანია ბლ (XX) .......... 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9

14.0221.00 6003 იტალია A (XXI) .......... 23 და ნაკლები – 1,9; 25 და მეტი – 1,9

14,0222.30 6004 ესპანეთი Iლ (XXIV) .......... 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9

14.0220.15 6005 საფრანგეთი Iლ (XXIV) .......... 21 და ნაკლები – 1,9; 23 და მეტი – 1,9

# ჩემპიონები და თასის აღება

**9001**

**ინგლისი (10.02)**

| | |
|---|---|
| მანჩესტერი | 1,9 |
| არსენალი | 1,9 |
| ჩელსი | 5,0 |

**9002**

**გერმანია (14.02)**

| | |
|---|---|
| ბაიერნი | 1,65 |
| ვერდერი | 2,5 |
| შტუტგარტი | 5,0 |
| ლევერკუზენი | 10,0 |

**9003**

**იტალია (14.02)**

| | |
|---|---|
| მილანი | 1,4 |
| რომა | 4.0 |
| იუვენტუსი | 5,0 |

**9004**

**ესპანეთი (14.02)**

| | |
|---|---|
| რეალი | 1,3 |
| ვალენსია | 3,8 |
| დეპორტივო | 7,5 |

**9005**

**საფრანგეთი (14.02)**

| | |
|---|---|
| მონაკო | 1,15 |
| ლიონი | 4,0 |
| პსჟ | 10,0 |

**9006**

**პორტუგალია (13.02)**

| | |
|---|---|
| პორტუ | 1,05 |
| სპორტინგი | 7,0 |
| ბენფიკა | 12,0 |

**9007**

**ჰოლანდია (14.02)**

| | |
|---|---|
| აიაქსი | 1,3 |
| პსვ | 2,8 |

**9008**

**ავსტრია (21.02)**

| | |
|---|---|
| ავსტრია | 1,35 |
| რაპიდი | 4,0 |
| გრაცერი | 5,0 |

**9009**

**დანია (14.03)**

| | |
|---|---|
| ბრიონდბიუ | 1,3 |
| ესბიერგი | 4,0 |
| კოპენჰაგენი | 5,0 |

**9010**

**საბერძნეთი (14.02)**

| | |
|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 1,6 |
| პანათინაიკოსი | 2,0 |
| პაოკ | 8,0 |

**9011**

**უკრაინა (15.02)**

| | |
|---|---|
| შახტარი | 1,55 |
| დინამო | 1,95 |

**9020**

**ჩემპიონთა თასი (24.02)**

**რომელი ქვეყნის გუნდი აიღებს თასს**

| | |
|---|---|
| ინგლისი | 1,8 |
| იტალია | 2,5 |
| ესპანეთი | 2,9 |
| გერმანია | 9,3 |
| საფრანგეთი | 13,6 |

**9020**

**ჩემპიონთა თასი (24.02)**

| | |
|---|---|
| რეალი | 4,0 |
| მანჩესტერი | 4,6 |
| იუვენტუსი | 5,0 |
| მილანი | 5,0 |
| ჩელსი | 6,0 |
| არსენალი | 6,0 |
| ბაიერნი | 15,0 |
| დეპორტივო | 20,0 |
| შტუტგარტი | 25,0 |
| მონაკო | 25,0 |
| ლიონი | 30,0 |
| პორტუ | 40,0 |
| სოსიედადი | 40,0 |
| სელტა | 50,0 |
| ლოკომოტივი | 100,0 |
| სპარტა | 150,0 |

**9022**

**უეფას თასი (26.02)**

| | |
|---|---|
| რომა | 5,6 |
| ვალენსია | 6,0 |
| ბარსელონა | 6,0 |
| ინტერი | 6,0 |
| ლივერპული | 6,0 |
| ნიუკასლი | 8,0 |
| პარმა | 10,0 |
| სელტიკი | 12,0 |
| მარსელი | 15,0 |
| ბორდო | 25,0 |
| მალიორკა | 25,0 |
| პსვ | 25,0 |
| ოსერი | 25,0 |
| გალათასარაი | 30,0 |
| ბრიუგე | 30,0 |
| პერუჯა | 30,0 |
| ბენფიკა | 30,0 |
| ვილიარეალი | 30,0 |
| ბეშიქთაში | 30,0 |
| სოშო | 40,0 |
| პანათინაიკოსი | 40,0 |
| რუსენბორგი | 50,0 |
| სპარტაკი | 60,0 |
| გენჩლერბირლ. | 60,0 |
| ბრიონდბიუ | 60,0 |
| გაზიანთეფი | 100,0 |
| გროცლინი | 100,0 |
| ტეპლიცე | 100,0 |
| დნიპრო | 100,0 |
| ლევსკი | 150,0 |
| დებრეცენი | 250,0 |
| ვოლერენგა | 250,0 |

**9031**

**NHL (05.04)**

| | |
|---|---|
| კოლორადო | 4,5 |
| დეტროიტი | 5,0 |
| ფილადელფია | 5,5 |
| ვანკუვერი | 6,0 |
| ნიუ ჯერსი | 6,5 |
| ოტავა | 7,0 |
| ტორონტო | 7,5 |
| სტ.ლუისი | 10,0 |
| დალასი | 12,0 |
| ტამპა ბეი | 20,0 |
| ბოსტონი | 20,0 |
| ლოს ანჯელესი | 20,0 |
| სან ხოსე | 25,0 |
| რეინჯერსი | 25,0 |
| ატლანტა | 30,0 |
| კალგარი | 30,0 |
| ანაჰაიმი | 35,0 |
| მინესოტა | 35,0 |
| აილენდერსი | 40,0 |
| მონრეალი | 50,0 |
| ედმონტონი | 60,0 |
| ფინიქსი | 60,0 |
| კაროლინა | 75,0 |
| ჩიკაგო | 75,0 |
| ნეშვილი | 75,0 |
| ბუფალო | 100,0 |
| ფლორიდა | 100,0 |
| კოლამბუსი | 125,0 |
| პიტსბურგი | 125,0 |
| ვაშინგტონი | 125,0 |

**9032**

**NBA (15.04)**

| | |
|---|---|
| ლეიკერსი | 1,65 |
| საკრამენტო | 4,5 |
| სან ანტონიო | 5,0 |
| დალასი | 8,0 |
| ინდიანა | 10,0 |
| დეტროიტი | 12,0 |
| მინესოტა | 12,0 |
| ნიუ ჯერსი | 15,0 |
| ნიუ ორლეანი | 25,0 |
| ფილადელფია | 40,0 |
| ჰიუსტონი | 50,0 |
| ბოსტონი | 60,0 |
| დენვერი | 60,0 |
| ნიუ იორკი | 60,0 |
| პორტლენდი | 60,0 |
| ტორონტო | 60,0 |
| სიეტლი | 75,0 |
| იუტა | 75,0 |
| მილუოკი | 75,0 |
| გოლდენ სტ. | 100,0 |
| მემფისი | 100,0 |
| ფინიქსი | 100,0 |
| კლიპერსი | 150,0 |
| ორლანდო | 150,0 |
| მაიამი | 200,0 |
| ატლანტა | 250,0 |
| ვაშინგტონი | 250,0 |
| ჩიკაგო | 250,0 |
| კლივლენდი | 300,0 |

დღეს სტუდენტური დერბია, თსუ—სტუ და ამ მატჩს ახალი მთავარი მწვრთნელით ხვდებიან სახელმწიფო უნივერსიტეტელები. თსუ-ს სამწვრთნელო შტაბში ბევრიც არაფერი შეცვლილა. მთავარმა მწვრთნელმა გია ჯავახიშვილმა და მისმა თანაშემწე მამუკა ტურაშვილმა ადგილები გაცვალეს. ეს ამბავი ოფიციალურად გუშინ გახმაურდა კაფე „მსოფლიო სპორტში“, სტუდენტური დერბის წინასამატჩო პრესკონფერენციაზე

# მწვრთნელთა გადანაცვლებით შედეგი შეიცვლება?

## ჯავახიშვილმა ტურაშვილს „ჯავახიშვილის“ გუნდი გადააბარა



მამუკა ტურაშვილი (მარცხნივ) თსუ-ს შტაბში დააწინაურეს

ჟურნალისტებს კაფეში ასევე დახვდნენ სტუ-ს მთავარი მწვრთნელი ნუგზარ ჭეიშვილი, ტექნიკოსთა ფორვარდი გიორგი მარკოიშვილი და თსუ-ს ერთ-ერთი ლიდერი გიგი ნაცვლიშვილი. პრესკონფერენციას უძღვებოდა ფედერაციის გენერალური მდივანი მერაბ რატიშვილი, რომელმაც მომავალი მატჩის პრინციპულობასა და ტრადიციებზე ილაპარაკა.

შემდეგ ჯერი მწვრთნელ-მოთამაშეებზე მიდგა, რომლებმაც თქვეს, რომ დღევანდელი მატჩი ძალიან პრინციპულია და არაფერს დაიშურებენ გამარჯვებისთვის. ამაზე საინტერესო ვინძლო თსუ-ს ახალ თავკაცთან საუბარი იყო და ჩვენც **მამუკა ტურაშვილს** მოვუსმინოთ...

— ამ შუა სეზონში გამართლებულად მიგაჩნიათ მწვრთნელის შეცვლა?

— ამით ბევრი არაფერი იცვლება. მე და გია ჯავახიშვილმა უბრალოდ, ადგილები გავცვალეთ, თამაშს მის მაგივრად მე გავუძღვები, ჯავახიშვილი გუნდში იქნება და ყველაფერში დამეხმარება. ისე, ეს ცვლილება რომ უნდა განხორციელებულიყო, თავიდანვე იყო გადაწყვეტილი. კლუბის პრეზიდენტი და სხვა ხელმძღვანელი პირები შეთანხმებულები იყვნენ, რომ გუნდს მე ჩავიბარებდი. გია ჯავახიშვილი ასევე ორგანიზაციულ საკითხებს მოაგვარებს, სამწვრთნელო პროცესის გაძღოლა კი ძირითადად მე მევალება.

— თსუ-ს არაერთ კალათბურთელთან წლების მანძილზე გითამაშიათ და მათთან მეგობრობთ კიდეც. ეს ფაქტორი ხელს ხომ არ შეგიშლით გუნდის გაძღოლაში?

— არ ვიცი, ეს მომავალში გამოჩნდება, თუმც რატომ უნდა იყოს ეგ ხელის შემშლელი ფაქტორი, ამ ბიჭებს ჩემი სჯერათ და სწორედ მათი დამსახურებაა, მთავარ მწვრთნელად რომ დავინიშნე. მოთამაშეებმა დიდი ნდობა გამომიცხადეს, რაც ალბათ ყველაზე მთავარია.

— ბევრი ამბობს, რომ თსუ-ს დიდი პოტენციალი აქვს, მაგრამ ჯერჯერობით შედეგი არ ჩანს, თქვენი გუნდი ბევრ თამაშს აგებს...

— არაფერს დავიშურებ, რომ გუნდს დავეხმარო, არც პასუხისმგებლობას გავექცევი წარუმატებლობის შემთხვევაში. ახლა ჩვენი მიზანი პლეი ოფისთვის მომზადებაა და არა რომელიმე კონკრეტული თამაშის მოგება. მთავარ აქცენტს მომავალ მატჩებზე ვაკეთებთ. ლევან ქარაბაკის სახით დიდი ძალა დაგვემატება პლეი ოფში.

— ხვალინდელ სტუდენტურ დერბიზე რას იტყვით, თქვენს სადებიუტო მატჩზე მთავარი მწვრთნელის რანგში...

— მთლად საბრძოლო შემადგენლობით ვერ ვიქნებით, კახა შენგელიას და ნუგზარ კოკოლიშვილს სიცხე აქვთ და ალბათ ვერ დაგვეხმარებიან. თუმც მეტოქე ისეთია, რომელთანაც დაბალი მოთამაშეები უფრო გვჭირდება და ამ მხრივ ყველაფერი წესრიგშია. „სტუ-ჯეოსელი“ სწრაფი გუნდია და ყველაფერი ალბათ უკანახაზელების დაპირისპირებაში გადაწყდება.

აქვე გეტყვით, რომ „სტუ-ჯეოსელსაც“ ორი მოთამაშე არ ეყოლება — მხარმტკივანი ზვიად ბაბიაშვილი და ალეკო დავითულიანი, რომელსაც ვარჯიშზე ფეხი ამოუბრუნდა.

**ირაკლი პერტაია**

მაშ ასე, დღეს 3 საათზე ვერის ბაღში სტუდენტური დერბია, ჩვენ კი იმას დავძენთ, რომ ტრიბუნებზეც ბლომად ახალგაზრდობა იქნება.

# NBA · რეგულარული ჩემპიონატი

13 თებერვალი

**პორტლენდი 98:107 დენვერი**

პორტლენდი: სტუდემაიერი (9), ანდერსონი (17), მაილზი (15), რენდოლფი (8), დევისი (5); აბდურ-რაჰიმი (20), რეთლიფი (14), პატერსონი (6), კუკი (2), დიკაუ (2)

*სტეფანია სათადარიგო იყო*

დენვერი: მილერი (5), ლენარდი (31), ენტონი (27), ელსონი (2), ნენე (14); ბოიკინსი (16), ანდერსენი (5), ბერი (5), ვაიტი (2)

*ცქიტიშვილი სათადარიგო იყო*

**ჩიკაგო 107:87 ბოსტონი**

ჩიკაგო: კროუფორდი (27)

ბოსტონი: მიმი (14)

**სიეტლი 94:74 ტორონტო**

სიეტლი: ალენი (23)

ტორონტო: უილიამსი (20)

# ევროლიგა

## პირველი ჯგუფური ეტაპი. XIII ტური. 11-12 თებერვალი

### A ჯგუფი

**პო ორტეზი 77:83 ულქერი**

პო ორტეზი: დროზდოვი (21)

ულქერი: ქუთლუაი (23)

**ციბონა 82:55 რომა**

ციბონა: პენი (17)

რომა: მაიერსი (12), ბარტონი (12)

**აეკ 91:87 ოლიმპია**

აეკ: ჯენკინსი (29), ზისისი (16)

ოლიმპია: მარავიჩი (21), ბოისა (30 წუთი, 4 ქულა, 6 მოხსნა, 1 ჩაჭრა)

**ბარსელონა 95:91 პარტიზანი**

ძირითადი დრო 83:83

ბარსელონა: ნავარო (2), დუენიასი (17), ილიევსკი (16)

პარტიზანი: კეყმანი (25), კრსტიჩი (19), ჰაუსი (17)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 13 | 11 | 2 | +134 | 24 |
| ციბონა | 13 | 8 | 5 | +25 | 21 |
| ულქერი | 13 | 8 | 5 | -12 | 21 |
| აეკ | 13 | 6 | 7 | -26 | 19 |
| პარტიზანი | 13 | 5 | 8 | -4 | 18 |
| ოლიმპია | 13 | 5 | 8 | -34 | 18 |
| პო ორტეზი | 13 | 5 | 8 | +4 | 18 |
| რომა | 13 | 4 | 9 | -87 | 17 |

### B ჯგუფი

**ცსკა 80:83 მაკაბი**

ცსკა: ბრაუნი (20), თურქჯანი (18)

მაკაბი: იასიკევიჩუსი (25), ვუიჩიჩი (17)

**სიენა 76:69 სკიპერი**

სიენა: ვანტერპული (23), ანდერსენი (15)

სკიპერი: ვუიანიჩი (19), სმოდიში (15)

**უნიკახა 83:78 პანათინაიკოსი**

უნიკახა: ლუისი (20), კორნგაი (17)

პანათინაიკოსი: ლაკოვიჩი (13), ალვერტისი (12)

**კრკა 65:72 ჟალგირისი**

კრკა: ბალაზიჩი (15), დუშაკი (14)

ჟალგირისი: საბონისი (17), სალენგა (14)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 13 | 10 | 3 | +131 | 23 |
| მაკაბი | 13 | 10 | 3 | +90 | 23 |
| სიენა | 13 | 7 | 6 | +17 | 20 |
| სკიპერი | 13 | 7 | 6 | +11 | 20 |
| პანათინაიკოსი | 13 | 6 | 7 | +3 | 19 |
| ჟალგირისი | 13 | 6 | 7 | -6 | 19 |
| უნიკახა | 13 | 4 | 9 | -38 | 17 |
| კრკა | 10 | 2 | 11 | -208 | 15 |

### C ჯგუფი

**ეფესი 95:92 შლიონსკი**

ეფესი: გრანგერი (28), ლანგდონი (16)

შლიონსკი: გრირი (30), ტომჩიკი (21)

**ოლიმპიაკოსი 82:61 ვილერბანი**

ოლიმპიაკოსი: სკლავოსი (19), იურაკი (18)

ვილერბანი: ჰუდი (12)

**ტაუ 73:67 პამესა**

ტაუ: მასიაუსკასი (22), სკოლა (16)

პამესა: რეგოდო (14), ობერტო (14), მონტეჩია (14)

**ბენეტონი 91:65 ალბა**

ბენეტონი: ევანსი (25), ჯექსონი (19)

ალბა: სტანოევიჩი (22), კოლინზი (15)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ეფესი | 13 | 10 | 3 | +68 | 23 |
| ბენეტონი | 13 | 9 | 4 | +115 | 22 |
| პამესა | 13 | 8 | 15 | +54 | 21 |
| ტაუ | 13 | 8 | 15 | +44 | 21 |
| ოლიმპიაკოსი | 13 | 6 | 7 | 0 | 19 |
| შლიონსკი | 13 | 6 | 7 | -48 | 19 |
| ალბა | 13 | 3 | 10 | -94 | 16 |
| ვილერბანი | 13 | 2 | 11 | -139 | 15 |

# მზრახველებმა ცინცაძეს იმედი მოპარეს

**გუშინწინ** გიორგი ცინცაძე ცსკა-ს „უნივერსალური“ დარბაზის ტრიბუნაზე იჯდა და თავის გუნდს სხვებზე მეტად გულშემატკივრობდა. საქმე ის იყო, რომ თუ არმიელები „მაკაბის“ დაამარცხებდნენ, ჯგუფური ტურნირის ბოლო ტურის ვილნიუსში გასამართი მატჩი მოსკოველებისათვის აზრს კარგავდა — ცსკა პირველ ადგილს იბევებდა. ასეთ შემთხვევაში კი ქართველს არც თუ ურიგო შანსი ჰქონდა, „ჟალგირისთან“ ცსკა-ს დიდ გუნდში დებიუტი მოეწყო. ყველაფერიც თითქოს კარგად მიდიოდა, მაგრამ ებრაელებმა კლასიკურად ჩაითამაშეს ბოლო მეოთხედი და რუსებს მწარე ალიყური აჭამეს.

შედარებით თანაბარი პირველი ტაიმის შემდეგ არმიელებმა ჯიგრიანად დაიწყეს მესამე მეოთხედი. ძირითადად ლეგიონერთა წყალობით სოლიდური უპირატესობა მოიპოვეს და ბოლო ათწუთეულის წინ ეტყობა, საქმე მოთავებულად ჩათვალეს. თამაშის დასრულებამდე შვიდიოდე წუთით ადრე ცსკა 13 ქულას იგებდა და მოსკოველთაგან არავინ ფიქრობდა წაგებაზე. სწორედ აქ გამოცოცხლდნენ ებრაელები და რუსთა გვემა „მაკაბის“ ლიტველმა ვარსკვლავბიჭუნა შარუნას იასიკევიჩუსმა დაიწყო. სტუმრები ისეთ იშტაზე მოვიდნენ, რომ არც არმიელი მირსად თურქჯანის სამქულიანებს შეუშინდნენ და ბოლო წუთნახევარში 7 ქულა ამოილეს.

80:80 ანგარიშზე მოსკოველებმა მოსაგებად შეუტიეს, მაგრამ ამერიკელმა სნაიპერმა მარკუს ბრაუნმა უმნიშვნელოვანესი სროლა გააცუდა. იმ 2 წამში, თამაშის დასრულებამდე რომ რჩებოდა, ვერავინ იფიქრებდა, რომ მაკაბელები რამეს მოახერხებდნენ და ყველა ოვერტაიმისთვის ემზადებოდა. რამე კი არა, ებრაელებმა მატჩის მოგება მოახერხეს — შელეფმა მოედნის კიდეში ენტონი პარკერი მონახა, რომელმაც სირენის თანხლებით მოსკოვი პირდაღებული დატოვა.

ამ საქმიდან კი ის გამოვიდა, რომ ცინცაძეს ვილნიუსში არავინ ათამაშებს, სადაც ცსკა-მ აუცილებლად უნდა დაამარცხოს „ჟალგირისი“, რათა ჯგუფში პირველობა შეინარჩუნოს.

ვინ პირველობისთვის იბრძვის, ვის კიდევ გამსვლელი მეხუთე ადგილი ენატრება. მომავალ კვირაში უკანასკნელი ტურია და ხუთი დღის თავზე გაირკვევა ის თექვსმეტეული, რომელიც მეორე ჯგუფურ ეტაპზე გააგრძელებს ბრძოლას.

ჭაკად აქვს საქმე ვლადიმერ ბოისას „ოლიმპიას“, რომელმაც ამ ტურში აეკ-თან გასვლა წააგო და ახლა მეხუთე გამსვლელ ადგილს იყოფს „პარტიზანთან“ და ფრანგულ „პო ორტეზთან“. ლიუბლიანელები ბოლო ტურში შინ იღებენ მომდევნო ეტაპის საგზურის მყპრობელ „ციბონას“, რომელიც სულაც არ ჩავა სლოვენიაში დაარხეინებული, რაკი „ულქერი“ კუდზე აზის და თუ გადაუსწრო, შემდეგ ეტაპზე შედარებით რთულ ჯგუფში მოუწევს ვაინაჩრობა. თუმც ეგებ გამარჯვებამაც არ არგუნოს ოლიმპიელებს საგზური, რადგან ამჟამად ბურთების უკეთესი შეფარდების ხარჯზე მე-5 ადგილზე მყოფი „პარტიზანი“ შინ აეკ-ს ეთამაშება და ალბათ გვარიანადაც ამოავსებს. ვნახოთ, რა იქნება...

**ირაკლი პერტაია**





ენტონი პარკერის (მარცხნივ) კარგმა თამაშმა გიორგი ცინცაძეს (მარჯვნივ) იმედი გადაუწურა

# ოლიმპიელებმა საათებით წამებსაც ითვლიან

## ნინო კი წინასწარ ყვირის

**გუშინ** საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში ათენის ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებით საპრესკონფერენციოდ გვიხმეს. სეოკ-ისა და სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელებთან ერთად მასპინძლის როლში დაგვხვდნენ იმ სახეობათა ფედერაციების ხელმძღვანელებიც, რომელთაგან ათენის ოლიმპიურ თამაშებზე ყველაზე დიდ იმედებს ვამყარებთ. უწინარეს ყოვლისა, ესაა ჭიდაობისა და ძიუდოს ფედერაციები. იყვნენ დღეს მოქმედი საქართველოს ყველაზე ტიტულოვანი სპორტსმენებიც, ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონ-პრიზიორები ნინო სალუქვაძე, რუსუდან ხოფერია და ელდარ კურტანიძე.

სეოკ-ის გენერალურმა მდივანმა ემზარ ზენაიშვილმა შეგვახსენა, ათენის ოლიმპიადამდე ნახევარი წელი ანუ ექვსი თქვე დარჩაო, მერე დააზუსტა, 26 კვირა, 182 დღე, 4368 საათი, 2626800 წუთი და 15724800 წამიო.

ეს საათები, წუთები და წამები მკითხველთათვის განსხვავებული იქნება იმისდა მიხედვით, თუ ვინ როდის წაიკითხავს ამ სტრიქონებს. ამიტომ ჩვენც უნდა დავაზუსტოთ, რომ ეს დრო გუშინდელი დღის დასაწყისიდან გამოუთვლიათ, ამ სიზუსტეზე კი იმის სათქმელად ვამახვილებთ ყურადღებას, რომ სეოკ-ში, ეტყობა, გრაფიკის ზუსტი დაცვით მუშაობენ და სხვებსაც ამას სთხოვენ. ამის საილუსტრაციოდ სეოკ-ის პრეზიდენტმა ჯანო ბაგრატიონმა და სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლერი ხაბელოვმა, რომელიც ათენში ოლიმპიურ სოფელში საქართველოს დელეგაციის მეთაური იქნება, შეგვახსენეს, საათენოდ სპორტსმენები გეგმის მიხედვით ემზადებიან და ისინი იანვარ-თებერვალში დაგეგმილ ოცდაათივე ღონისძიებაში მონაწილეობენო.

ეს ღონისძიებებია სრულფასოვანი შეკრებები შინ თუ უცხოეთში, სალიცენზიო ტურნირებში და სხვა საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობა.

ამის საილუსტრაციოდ ბევრი მაგალითი მოიშველიეს, მაგრამ მათი ჩამოთვლით თავი რომ არ შევაწყინოთ, ერთს გავიხსენებთ — ესაა თავისუფალ და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში სამი სრულფასოვანი შეკრება ბორჯომსა და ბაკურიანში, მონაწილეობა ოთხივე სალიცენზიო ტურნირში (სლოვაკეთი, ბულგარეთი, სლოვენია, უზბეკეთი) და სხვა საერთაშორისო ტურნირებში.

მოჭიდავეებზე შემთხვევით არ შევჩერებულვართ. საქართველოს სპორტსმენთა მიერ ჯერჯერობით მოპოვებულ 15 ოლიმპიური ლიცენზიიდან ნახევარზე მეტი — 9 მათ ანგარიშზე მოდის.

და საერთოდ, მოჭიდავეები იმედოვნებენ, რომ ათენში ყველა წონით კატეგორიაში ეყოლებათ სპორტსმენი და ოქროს მედალსაც მოიპოვებენ.

როგორც გუშინ ითქვა, უიმედოდ არც სხვები არიან და ამაში მათ დიდად ეხმარებათ საქართველოს ოლიმპიური ფონდი მისი პრეზიდენტის ბადრი პატარკაციშვილის მეთაურობით.

პრესკონფერენციაზე ითქვა, რომ ბადრი პატარკაციშვილმა გაითვალისწინა საქართველოს ოლიმპიური კომიტეტისა და სპორტული ფედერაციების ხელმძღვანელთა თხოვნა იმის შესახებ, რომ წლის დასაწყისში ოლიმპიური პროგრამების დასაფინანსებლად საბიუჯეტო სახსრებთან მნიშვნელოვანი სიძნელეები შეიქმნა და ათლეტებს ფინანსური დახმარება სჭირდებათო. ამიტომაც სპორტსმენთა მთელი ფინანსური უზრუნველყოფა, ფაქტობრივად, საკუთარ თავზე აიღო ოლიმპიურმა ფონდმა და 320 ათას ლარზე მეტი გაიღო.

პრესკონფერენციაზე ითქვა, რომ ოლიმპიური ფონდი ერთ ამდენს კიდევ გაიღებს. ამას გარდა, როგორც გუშინ გვაცნობეს, ოლიმპიური ფონდი თავის თავზე იღებს ოლიმპიადის გახსნისა და დახურვის ცერემონიალებზე საქართველოს დელეგაციის როგორც ეკიპირების, ისე ალკაზმულობის საკითხს. გათვალისწინებულია სხვა ხარჯებიც.

ათენის ოლიმპიურ სარბიელზე, როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, ჩვენი სპორტსმენები „ადიდასით“ შემოსილნი გავლენ, სარბიელს მიღმა კი მათ „კაპა“ და „მიზუნო“ შემოსავთ.

დაგეგმილია და, ეტყობა, ათენის ერთ-ერთ პრესტიჟულ უბანში ოლიმპიადის დღეებში, ისე როგორც ატლანტაში, ქართული სახლი გაიხსნება.

ყოველივე ამაში, როგორც გუშინდელი პრესკონფერენციის მასპინძლები იმედოვნებენ, ბოლოს და ბოლოს, თავის წვლილს შეიტანს სახელმწიფოც.

პრესკონფერენციაზე დაინტერესდნენ სპორტის დეპარტამენტისა და კულტურის სამინისტროების გაერთიანებით, რაზეც ნინო სალუქვაძეს უარყოფითი დამოკიდებულება არ დაუფარავს. როგორც თავადვე თქვა, ამისგან კარგს არაფერს ელის და „წინასწარ ყვირის“, სხვები კი ამაში საგანგაშოს ვერაფერს ხედავენ, მათ შორის სეოკ-ის პრეზიდენტი ჯანო ბაგრატიონი. იგი იმედოვნებს, რომ კულტურისა და სპორტის სამინისტრო სპორტზე მხოლოდ თავისი სახელწოდებითაც დადებითად იმოქმედებსო.

ჟურნალისტები დაინტერესდნენ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციაში შექმნილი ვითარებითაც, ეს ვითარება ლერი ხაბელოვმა შეაფასა როგორც არაჯანსაღი, ხოლო ჯანო ბაგრატიონმა ბრძანა, ფედერაციის პრეზიდენტ ნინო გურიელის მიმართ ძალზე კატეგორიულებიც არ უნდა ვიყოთ და რაც იქ ხდება, უფრო პირადულიაო.

**ავთანდილ ჭყვიშვილი**






მარი პირსმა მაგი სერნა მოწოდებებში დაახრჩო

# მაგის დონეა

### SIEBEL OPEN

სან ხოსე. ჰარდი

საპრიზო 380 ათასი $

#### მეორე წრე

**ენდი როდიკი** (1, აშშ) — კრისტოფ ფლიგენი (ბელგია) 6:2, 6:3; **ანდრე აგასი** (2, აშშ) — უესლი მოოდი (სამხრეთ აფრიკა) 7:6 (8:6), 6:4; **სირილ სოლნიე** (საფრანგეთი) — რობი ჯინეპრი (5, აშშ) 3:6, 7:5, 6:4; **ჰიუნგ-ტაიკ ლი** (სამხრეთ კორეა) — ვინსენტ სპედია (6, აშშ) 2:6, 6:4, 6:4; **იაოხიმ იოხანსონი** (შვედეთი) — ჯეიმს ბლეიკი (7, აშშ) 6:4, 6:2

სანხოსეურ მაგარსაფარზე შებერებული ანდრე აგასი უკვე მეთორმეტედ გამოდის და, თუკი დავთრებში ჩახედვას არ დაიზარებთ, დაგვეთანხმებით — მომდევნო მატჩს თვისტომ ჟან-მაიკლ გემბილთან რომ გამართავს, ეს მისი მეთერთმეტე იქაური მეოთხედფინალი იქნება.

საამმეოთხედფინალოდ 34 წელს მიტანებული არმენოამერიკელი იმ დღეს უმძლავრესად მომწოდებელ სამხრეთაფრიკელ უესლი მოოდს ეპაექრა. მოოდმა აგასისაც მაგრად უბრახუნა და ჯამშიც 21 ეისს გამორჩა, მაგრამ ამ საქმეში მარტო ბრახუნი ვერაფერს შველის, თუკი სხვაფრივ ოკრო-ბოკროდ და ფეთხუმად ირჯები. ეს სამხრეთაფრიკელი ჭაბუკი კი ძირითადად სწორედ ასე ირჯება ხოლმე და ამიტომაც იყო, შარშანდელი და კიდევ ორგზის (1995, 1996) ჩემპიონი თუმც უხვად აოფლიანა, მაგრამ საბოლოოდ ვერაფერი მოუხერხა.

შედარებით მსუბუქი მატჩი ჰქონდა პირველ ნომრად განთესილ ენდი როდიკს, ვინაც უსახელო ბელგიელ ფლიგენს ციმციმ და კამაც-კამაც ჩაურბინა.

### INDESIT ATP

მილანი. ხალიჩა

საპრიზო 380 ათასი ევრო

#### მეორე წრე

**მარტინ ფერკერკი** (2, ჰოლანდია) — ნიკოლა ესკუდი (საფრანგეთი) 6:3, 6:4; **ტომი რობრედო** (3, ესპანეთი) — გორან ივანიშევიჩი (ხორვატია) 6:4, 5:7, 7:6 (7:4); **მარიო ანჩიჩი** (ხორვატია) — რაფაელ ნადალი (6, ესპანეთი) 7:5, 6:2; **კაროლ კუჩერა** (სლოვაკეთი) — სარგის სარგსიანი (7, სომხეთი) 6:2, 6:1

მარტინ ფერკერკის სახელი და გვარი პირველად სწორედ მილანში, მისი შარშანდელი გამარჯვების შემდეგ შევიტყვეთ. მოგვიანებით, ოყრაყმა ჰოლანდიელმა როლან გაროსის ფინალამდეც გაალწია და აქა-იქ იმის ილუზიებიც გაჩნდა, რომ მისი სახით ამქარმა მორიგი ანგარიშგასაწევი ქვემეხი შეიძინა. მაგრამ — არა. პარიზული სეფეფინალის შემდეგ ფერკერკს ჩვენი ყურადღების საღირალი ალარაფერი გაუკეთებია და თუკი ახლაც ამ აბზაცს ვუძღვნით, ეგ იმის გამო, რომ შარშანდელი ჩემპიონია და მეოთხედფინალში გავიდა.

ისე კი, ყველას უმთავრესად ის აინტერესებდა, თუ როგორ გაირჯებოდა დიდ კორტს კიდევ ერთხელ მობრუნებული გორან ივანიშევიჩი, მილანის 1996-97 წლების გამარჯვებული და — რაც შეუდარებლად მთავარია — უიმბლდონის 2001 წლის ჩემპიონი.

ვაგლახ — ტრავმიანობით გატანჯულ ნიჭიერსა და ჯიგრიან ხორვატს ჩოგნის დაშალითება ამჯერად უკვე მეორე წრეშივე მოუხდა. ეგ ძირითადად იმის ბრალი იყო, რომ — თუმც თავის მოწოდებაზე ჯიქურ თამაშობდა — მეტოქისაზე ბევრს ვერაფერს გამორჩა.

რობრედო, ვისაც ცხოვრებაში მხოლოდ ერთი ტიტული მოუხვეჭია (2001 წელს სოპოტში), მეოთხედფინალში ისევ ხორვატს შეხვდება. ივანიშევიჩის დარად ბარაქიანი მოწოდების მქონე მარიო ანჩიჩმა ჩინებულ ფორმაში მყო ესპანელ ყრმას, რაფაელ ნადალს აჯობა და ახლა თვისტომ-კერპის მაოტარზე ჯავრის ყრას ეცდება.

### OPEN GAZ DE FRANCE

პარიზი. ხალიჩა

საპრიზო 585 ათასი ევრო

#### მეორე წრე

**კიმ კლაისტერსი** (1, ბელგია) — მარია სანჩეს ლორენსო (ესპანეთი) 6:1, 6:0; **დინარა საფინა** (რუსეთი) — პატი შნიდერი (3, შვეიცარია) 4:6, 6:2, 6:1; **ელენა ბოვინა** (რუსეთი) — ელენა დოკიჩი (4, სერბეთი) 4:6, 7:6 (7:5), 6:0; **ფრანჩესკა სკიავონე** (5, იტალია) — კაროლინა სპრემი (ხორვატია) 7:6 (7:4), 6:3; **მარი პირსი** (საფრანგეთი) — მაგი სერნა (8, ესპანეთი) 6:2, 6:4; **ტატიანა გოლოვინა** (საფრანგეთი) — დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) ჰანტუხოვას არ უთამაშია

კიმ კლაისტერსმა ავსტრალიის ღია პირველობის ფინალში ჟუსტინ ენენთან დამარცხების შემდეგ თავისი პირველი მატჩი ალმავლობით ჩაითამაშა და რეიტინგსიის 45-ე ადგილზე მდგომ მარია სანჩეს ლორენსოს 39 წუთში გადაუარა.

კმაყოფილი ვარო, იძახდა ნამატჩევს. სხვა თუ არაფერი, ავსტრალიაში გატარებული ორთვენახევრის მერე ოჯახთან, მეგობრებთან და ძაღლთან ერთად ყოფნა მაგრად მსიამოვნებსო.

სხვაფრივ — თავის პირველ სადაბლეიტიო მეოთხედფინალში გააღწია ახლახან გათექვსმეტწლისებულმა რუსფრანგმა ტატიანა გოლოვინამ, ვინაც საკუთარი თავი მელბურნულ კორტებზე ნაჩვენები ნაადრევად ბრძნული და ღონიერი ჩოგნაობით გაგვაცნო. ტატიანას იმ დღეს დანიელა ჰანტუხოვასთან უნდა ებულრავა, მაგრამ წანკლა სლოვაკს სუნთქვა გასჭირვებია და ამის გამო გოლოვინას უბრძოლველი გამარჯვება ერგო.

ისე კი, პარიზში დიდი ყურადღება ეთმობა საფრანგეთისა და ავსტრალიის ღია პირველობათა აწ უკვე ხანდაზმულ ჩემპიონ მარი პირსსაც, რომელმაც ამ ჯერზე ბუთქუნა ესპანელ მაგი სერნას ჩაუარა.

**ლევან ქელაურაძე**



# რეგულარული ჩემპიონატი

12 თებერვალი

**სენტ ლუისი 0:4 კოლორადო**

*0:1 0:2 0:1*

0:1 ფორსბურგი (4), 0:2 მორისი (31), 0:3 ტანგეი (35), 0:4 კონოვალჩუკი (55)

„სენტ ლუისს“ მალე ალარაფერი შერჩება ისეთი, რითაც ოდნავ მაინც მოიწონებდა თავს. იცით, რომ „ბლუზმენებს“ დღემდე თასი ერთხელაც არ მოუგიათ, მაგრამ სხვა ბობოლა გუნდების ჯინაზე 24 წელიწადია, პლეი ოფში გადიან. სხვათა შორის, ამ შედეგით აშშ-ს პროფესიული სპორტის ვერც ერთი სახეობა ვერ დაიკვეხნის. ახლა კი ბოლო 11 მატჩში 9 მარცხის შემდეგ „სენტ ლუისი“ საცაა, ამოვარდება საპლეიოფო სიიდან. მათი მთავარი პრობლემა ის არის, რომ გოლი ვერ გაუტანიათ. ამჯერადაც მასპინძლებმა ვერაფერი მოახერხეს „კოლორადოს“ მეკარე დავიდ ებიშერის წინააღმდეგ. შვეიცარიელი მეკარე საიმედოდ იდგა და რამდენჯერმე იხსნა თავისიანები. „ებიშერმა ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ ოლ სტარში მონაწილეობას იმსახურებდა, მაგრამ რატომღაც არ მიიწვიეს. დღეს კი სულ იმას ამბობენ, ვნახოთ, პლეი ოფში როგორ ითამაშებსო“ — თქვა კოლორადოელმა დერეკ მორისმა. ისე, სენტ ლუისის დამარცხება მარტო ებიშერის დამსახურება არ გეგონოთ. სტუმრებმა ყველა კომპონენტში დაჩაგრეს მეტოქე.

**ტამპა 5:3 მონრეალი**

*0:2 1:0 4:1*

0:1 კოიკუ (5), 0:2 მარკოვი (17), 1:2 სან ლუი (27), 2:2 სან ლუი (45), 2:3 ბულისი (48), 3:3 რიჩარდსი (54), 4:3 ლეკავალიე (53), 5:3 რიჩარდსი (60)

**ფლორიდა 5:1 პიტსბურგი**

*0:0 4:1 1:0*

1:0 ჰორდიჩუკი (23), 1:1 მელოუნი (28), 2:1 ჰაგმანი (31, 3:1 ჰაგმანი (38), 4:1 იოკინენი (40), 5:1 ბურე (43)

**კაროლინა 3:3 ვაშინგტონი**

*1:1 1:1 1:1 0:0*

0:1 გრირი (13), 1:1 მაურეი (19), 2:1 ჰილი (25), 2:2 ჰელპერნი (37), 2:3 კარტერი (49), 3:3 ბრენდლი (53)

**რეინჯერსი 1:2 ფილადელფია**

*1:0 0:1 0:1*

1:0 ლიჩი (18), 1:1 განიე (29), 1:2 კაპანენი (54)

**ოტავა 3:2 ბოსტონი**

*0:0 2:1 0:1 1:0*

1:0 სპეცა (23), 2:0 ჰავლატი (25), 2:1 დონატო (36), 2:2 შლეგრი (60), 3:2 ჰავლატი (62)

**ტორონტო 4:1 კოლუმბუსი**

*1:1 1:0 2:0*

1:0 დომი (11), 1:1 მარჩანტი (17), 2:1 რობერტსი (32), 3:1 ტაკერი (53), 4:1 რენბერგი (60)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპის ერთა თასი. პირველი ტური

# საქართველო — პორტუგალია

15 თებერვალი. თბილისი. «ლოკომოტივი». 16 საათი

**ბორჯღალოსნები:** 15 ბესიკ ხამაშურიძე, 14 მალხაზ ურჯუკაშვილი, 13 თედო ზიბზიბაძე, 12 კახა ალანია, 11 ირაკლი მაჩხანელი, 10 ბობა კვინიხიძე, 9 ბიძინა სამხარაძე, 8 ბესიკ უდესიანი, 7 რატი ურუშაძე, 6 ზვიად მაისურაძე, 5 მამუკა გორგოძე, 4 ილია ზედგინიძე (კაპ), 3 დავით ხინჩაგაშვილი, 2 ლევან ღვაბერიძე, 1 ავთანდილ კოპალიანი

**სათადარიგოები:** 16 გიორგი კუთარაშვილი, 17 მიხეილ სუჯაშვილი, 18 ზურაბ მჭედლიშვილი, 19 რევაზ ბელქანია, 20 ირაკლი მოდებაძე, 21 ნონო ანდღულაძე, 22 ლექსო გუგავა

**მწვრთნელები:** მიხეილ ბურძგლა, პაატა ნარიმანაშვილი, მალხაზ ჭეიშვილი, დავით ჩავლეიშვილი

---

**ლობოსები:** რუი კორდეირუ, ბერნარდო მოტა, ჟოაკიმ ფერეირა, პაულო სანტუში, ჟოზე კარლუში, ანტონიუ სარმენტუ, მარსელო დურეი, ლორენსო ანდრადე, ფრედერიკო ნუნიეში, სებასტიანო კუნია, ჟოაო უვა, ანტონიო კუნია, პაულო მორინელო, ვასკო უვა, ლუიშ პისარა, ფრედერიკო გრენიუ, ფრედერიკო სოუზა, დიეგო მატეუში, დავიდე მატეუში, გონსალო მალეირო, ანტონიო აგილარი, ნუნ გარვა, ფრანსისკო მორეირა, პედრო ლეალი

**მწვრთნელი:** ტომაშ მორაეში



პორტუგალია თბილისში ბოლოს 2001 წელს გვესტუმრა

## ევროპის ერთა თასი 2004



ბერნარ შარეირი ახლა ესპანეთს წვრთნის

### კალენდარი

14 თებერვალი

რუმინეთი — ჩეხეთი (ბუქარესტი)

რუსეთი — ესპანეთი (კრასნოდარი)

15 თებერვალი

საქართველო — პორტუგალია (თბილისი)

21 თებერვალი

ესპანეთი — საქართველო (ტარაგონა)

რუმინეთი — პორტუგალია (კონსტანცა)

რუსეთი — ჩეხეთი (კრასნოდარი)

6 მარტი

რუმინეთი — ესპანეთი (ბუქარესტი)

საქართველო — რუსეთი (თბილისი)

ჩეხეთი — პორტუგალია (პრაღა)

20 მარტი

რუსეთი — რუმინეთი (კრასნოდარი)

ესპანეთი — პორტუგალია (იბიცა)

საქართველო — ჩეხეთი (თბილისი)

27 მარტი

რუმინეთი — საქართველო (იასი)

პორტუგალია — რუსეთი (კოიმბრა)

ჩეხეთი — ესპანეთი (პრაღა)

**ერთა თასის შარშანდელი ცხრილი**

| | თ | მ | ქ |
|---|---|---|---|
| პორტუგალია | 5 | 5 | 10 |
| რუმინეთი | 5 | 4 | 8 |
| საქართველო | 5 | 3 | 6 |
| ჩეხეთი | 5 | 2 | 4 |
| რუსეთი | 5 | 1 | 2 |
| ესპანეთი | 5 | 0 | 0 |

*თ — თამაში; მ — მოგება; ქ — ქულა*

## ექვსი ერი 2004



ექვსი ერის ექვსი კაპიტანი

### კალენდარი

14 თებერვალი

საფრანგეთი — ირლანდია (პარიზი)

უელსი — შოტლანდია (კარდიფი)

15 თებერვალი

იტალია — ინგლისი (რომი)

21 თებერვალი

საფრანგეთი — იტალია (პარიზი)

შოტლანდია — ინგლისი (ედინბურგი)

22 თებერვალი

ირლანდია — უელსი (დუბლინი)

6 მარტი

იტალია — შოტლანდია (რომი)

ინგლისი — ირლანდია (ლონდონი)

7 მარტი

უელსი — საფრანგეთი (კარდიფი)

20 მარტი

ირლანდია — იტალია (დუბლინი)

ინგლისი — უელსი (ლონდონი)

21 მარტი

შოტლანდია — საფრანგეთი (ედინბურგი)

27 მარტი

უელსი — იტალია (კარდიფი)

ირლანდია — შოტლანდია (დუბლინი)

საფრანგეთი — ინგლისი (პარიზი)

**ექვსი ერის შარშანდელი ცხრილი**

| | თ | მ | ქ |
|---|---|---|---|
| ინგლისი | 5 | 5 | 10 |
| ირლანდია | 5 | 4 | 8 |
| საფრანგეთი | 5 | 3 | 6 |
| შოტლანდია | 5 | 2 | 4 |
| იტალია | 5 | 1 | 2 |
| უელსი | 5 | 0 | 0 |

*თ — თამაში; მ — მოგება; ქ — ქულა*

# რევოლუცია სპორტშიც მოვიდა

*საქართველოს პარლამენტმა უკვე მიიღო გადაწყვეტილება სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის, კულტურის სამინისტროსა და ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტისაგან ერთი სამინისტრო შექმნას, რომელსაც კულტურისა და სპორტის სამინისტრო დაერქმევა და ცხადია, ერთი ხელმძღვანელი ანუ მინისტრი ეყოლება*

საკარადოდ ამ გაერთიანებული უწყების ხელმძღვანელის პოსტს ბურჯანაძე-დემოკრატების წევრი გოკა გაბაშვილი დაიკავებს, თუმც ვინ გაუძღვება სპორტს და რა სახით შევა იგი ახალ სამინისტროში, ჯერ გაურკვეველია. კულუარული ინფორმაციით, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელის ირაკლი მეძმარიაშვილის მემკვიდრედ საქართველოს კარატე-დოს ფედერაციის პრეზიდენტი კახა ბასილია მოიაზრება. სიტუაციაში უკეთ გასარკვევად მასვე მივმართეთ



როგორ გადაწყვეტს სახელმწიფო მინისტრი ზურაბ ჟვანია სპორტის „მინისტრის" ირაკლი მეძმარიაშვილის ბედს?

## კახა ბასილია
## ჩემთან ჩუმად მოდიან და შველას მთხოვენ

„ოფიციალური შემოთავაზება ჯერ არ მიმიღია, თუმც, ვიცი ამაზე საუბარი თვით პრეზიდენტის დონეზეც რომ იყო — გვეუბნება ბასილია — სიმართლე გითხრათ, ამის არც დიდი სურვილი მაქვს და არც თანხმობა მითქვამს, მაგრამ სპორტის სათავეში დღეს მყოფი ხალხი იმდენს იზამს, სურვილს გამიჩენს. დეპარტამენტის საშუალო და დაბალი რგოლი კი, რომელშიც ძირითადად ძველი ოლიმპიელები, სპორტის ფედერაციათა მუშაკები და მსაჯები არიან, ჩუმად მოდიან ჩემთან და შველას მთხოვენ.

...რა სახით შევა დღევანდელი სპორტის დეპარტამენტი ახალ სამინისტროში ეს ალბათ უახლოეს დღეებში გაირკვევა. შეიძლება მინისტრს ამ სფეროში მოადგილე დაენიშნოს, ან რამე სხვა მოიფიქრონ. პროცესში მეც ვმონაწილეობ. ჩემი აზრით დეპარტამენტი უნდა გაუქმდეს. ეს ბიუროკრატიული აპარატი არაფერში გვჭირდება. საქმეს ფედერაციები და ოლიმპიური კომიტეტიც გაართმევენ თავს.

...ისღა დარჩენიათ, ხმები გამივრცელონ, სპორტში ნაკლებად ჩახედული კაცია და თუ მოვიდა, დავილუპებითო. ისიც კი გავიგე, რომ ფედერაციებიდან აპირებენ ჩემი საწინააღმდეგო ხელმოწერების შეგროვებას. ჩემი მიზანი კი ერთადერთია, სპორტში მოხდეს რეორგანიზაცია და სათავეში ღირსეული მოვიდეს. იმედია ასეც იქნება."

## ირაკლი მეძმარიაშვილი
## ჩემს საკითხს ახალი მინისტრი გადაწყვეტს

კახა ბასილიას შემდეგ ირაკლი მეძმარიაშვილსაც შევეხმიანეთ:

— ჯერ მხოლოდ ის ვიცი, რომ სპორტის დეპარტამენტის ახალ სამინისტროში გაერთიანება გადაწყდა, თუმცა ისევ დეპარტამენტის სახელით იფუნქციონირებს თუ სხვა რამე დაერქმევა, გაურკვეველია.

— თავად თუ დარჩებით თანამდებობაზე?

— ვერ გეტყვით. ალბათ მინისტრი გადაწყვეტს.

# პირველი ჰოკეი

კანადაში, ჰალიფაქსში ნოვა სკოტიას პროვინციაში რომ ძევს, მიუკვლევიათ ამ ძველი ნახატისთვის. ნახატი მავან ეიჩ ბი ლოურენსს დაუხატავს და ჰქვია „ქერლინგის თამაში ტბაზე ჰალიფაქსის ახლოს 1870 წელს“. ქერლინგი, მოგეხსენებათ, დღესაც ცნობილი თამაშია, ცოცხებით მისდევენ ყინულზე გაცურებულ ქვას. მაგრამ ამ სურათში მთავარი ქერლინგი არ ყოფილა — უკანა ხედზე ჰოკეია გახურებული და თურმე ეს ყოფილა უძველესი სურათი, რომელზედაც ყვანჯოსნები დასრიალებენ. ჩვენი მხრით, ამას საეჭვო ამბად ჩავთვლიდით, რადგან ძველ ჰოლანდიელ ფერმწერთა ტილოებზეც გვინახავს ყვანჯიანი და ციგურებიანი კაცები მოყინულ ტბებზე. თუმცა, ის თამაში რამდენად იყო ჰოკეი, ძნელი სათქმელია.

REUTERS ჰალიფაქსიდან





REUTERS ბარსელონიდან

# გადაიდო

მთელი ჩილეს ჭორიკანა გაზეთები და პაპარაცები ელოდნენ, რომ გუშინ ფეხბურთის ვარსკვლავ ივან სამორანოს და მოდელ მარია ეუხენია ლარაინს უნდა ექორწინათ. ჯვრისწერა კი სულ ბოლო წუთს გადაიდო. რატომ — უცნობია.

REUTERS სენტ ლუისიდან



# ამა, როგორი

ჩხუბი უცხო რამ არ არის ჰოკეის ლიგაში. აგე, როგორი მოსდო სენტლუისელ რიდ ლოუს კოლორადოელმა პიტერ ვორელმა. ჩხუბი პირველსავე პერიოდში ატყდა.

REUTERS ლოს ანჯელესიდან



# ბიგ-მაკ-ბოლ

ჩქარი ჭამის გოლიათმა „მაკდონალდსმა“ და ლოს ანჯელესის განთქმულმა დარბაზმა „სტეიპლს სენთერმა“ შეთანხმება გააფორმეს, რომ მრავალი წლით ითანამშრომლებდნენ. ესეც ბიგმაკი, კოკა და კალათბურთი, ხოლო ჩინელი გოლიათი იაო მინგი „მაკდონალდსის“ სახე იქნება. ეს ადგილი ადრე კობი ბრაიანტს ეჭირა, ოღონდაც კოლორადოელი ქალის გაბახვის შემდეგ „მაკდონალდსმა“ დაითხოვა.

# კაპიტნები და თასები

კვირას ექვსი ერის სარაგბო ბრძოლები დაიწყება. ბეგშოთში, სარის საგრაფოში შეყრილან ინგლისის ქალთა და მამაკაცთა სარაგბო გუნდები, ხოლო კაპიტნებს, მაქსინ ედვარდსსა და ლორი დალალიოს ექვსი ერის ტროფეები დაუმრჯვებიათ, ჩვენია და ჩვენადვე დარჩებაო.

REUTERS ბეგშოტიდან



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს,
სამშაბათს, ოთხშაბათს,
ხუთშაბათს,
პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge